



საქართველოს ფინანსთა სამინისტრო

სახელმწიფო ფინანსების მართვის რეფორმის
2011 წლის სამოქმედო გეგმის
განხორციელების
წლიური ანგარიშგება

სარჩევი

შესავალი

I - ბიუჯეტირება

II - რესურსების მართვა

III - აღრიცხვა და ანგარიშგება

IV - შიდა აუდიტი

V - საინფორმაციო ტექნოლოგიები

დანართი I

საქართველოს კონტროლის პალატის მიერ PFM-ის 2011 წლის გეგმის განხორციელების წლიური ანგარიშგება

დანართი II

სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს მიერ PFM-ის 2011 წლის გეგმის განხორციელების წლიური ანგარიშგება

შესავალი

1) სახელმწიფო ფინანსების მართვა

სახელმწიფო ფინანსების მართვის ფუნდამენტური მიზანია ქვეყანაში არსებული რესურსების ეფექტურად გამოყენება. ამ მიზნის მისაღწევად ფისკალური პოლიტიკა მიმართულია სახელმწიფო სახსრების სტრატეგიულ განთავსებაზე, რაც გულისხმობს სახელმწიფო სახსრების სახელმწიფო პრიორიტეტებისკენ ეფექტურად მიმართვას და ამ პრიორიტეტების დასაფინანსებლად მრავალწლიანი მყარი ფინანსირების პაკეტის შექმნას, რაც ხელს შეუწყობს სახელმწიფო საშუალოვადიანი პრიორიტეტების დაფინანსების საიმედოობას.

სახელმწიფო სექტორის ფინანსური მართვის სისტემა წარმოადგენს შემდეგ ურთიერთდაკავშირებულ ელემენტებს:

- ბიუჯეტის სტრატეგიული შედგენა – ეკონომიკური პოლიტიკის და ბიუჯეტის ურთიერთკავშირი. რესურსების საიმედო წყარო და ბიუჯეტით გამოყოფილი მაქსიმალური თანხები, რომელთა შესაბამისად სამინისტროებს და სხვა მომხმარებლებს, შეუძლიათ პრიორიტეტულად დაგეგმონ თავიანთი საქმიანობები ეროვნულ და სექტორულ დონეზე;

- ბიუჯეტის მომზადება და დამტკიცება – პროცესი, რომლის დროსაც ხდება რესურსების განთავსება პრიორიტეტული დარგების მიხედვით;

- რესურსების მართვა – 1. ფინანსური რესურსები (შემოსავლების მობილიზაცია, სახელმწიფო ვალი და ნაღდი ანგარიშსწორება), 2. სახელმწიფო შესყიდვები, 3. პერსონალის მართვა და 4. ძირითადი აქტივების მართვა;

- შიდა კონტროლი – 1. ფინანსური რეგულირება და საკონტროლო პროცედურები, 2. რესურსების მართვის პროცედურების ეფექტიანობა და 3. ბიუჯეტის შესრულებაზე მონიტორინგის სისტემები და პროცედურები;

- აღრიცხვა და ანგარიშგება - ფინანსური ტრანზაქციების აღრიცხვა, შეგროვება და ანგარიშგება;

- გარე აუდიტი და ანგარიშვალდებულება - უზრუნველყოფს მთვარობის მიერ განხორციელებულ ოპერაციებზე ზემდგომი მაკონტროლებელი ორგანოს და სამოქალაქო საზოგადოების მხრიდან დამოუკიდებელი შეფასების არსებობას.

2) სახელმწიფო ფინანსების მართვის რეფორმა

სახელმწიფო ფინანსების მართვის რეფორმის 2009–2013 წლების სტრატეგიული დოკუმენტის პრეზენტაცია შედგა 2009 წლის თებერვალში სახელმწიფო სექტორის ხარჯების შეფასების (PEFA) სამუშაო შეხვედრის დროს. პრეზენტაციის შემდგომ მოხდა დოკუმენტის სრულყოფა და დამტკიცება (აპრილი 2009). რეფორმის უმთავრესი მიზანია სახელმწიფო ფინანსების მართვის შემდგომი განვითარება და გაძლიერება. რეფორმის ძირითად მიზნებს წარმოადგენს:

- ფისკალური დისციპლინის შენარჩუნება, საბიუჯეტო სისტემის მაკროეკონომიკური სტაბილურობა და პროგნოზირება;

- სტრატეგიული მიდგომით რესურსების მიმართვა პოლიტიკურად და სტრატეგიულად პრიორიტეტულ სფეროებზე;

- რესურსების მაქსიმალურად ეფექტურად და ეფექტიანად გამოყენება;
- სახელმწიფო რესურსების გამოყენებაზე ანგარიშგებისა და კონტროლის უზრუნველყოფა.

3) სახელმწიფო ფინანსების მართვის რეფორმის კოორდინაცია და მონიტორინგი

სახელმწიფო ფინანსების მართვის რეფორმის 2009–2013 წლების სტრატეგიის განხორციელების ხელშეწყობის მიზნით 2010 წლის მარტში ფინანსთა სამინისტროში შეიქმნა საკოორდინაციო საბჭო, რომლის ძირითად ამოცანებს წარმოადგენს:

- რეფორმის სტრატეგიის თაობაზე შესაბამისი წინადადებების შემუშავება;
- რეფორმის სტრატეგიის შესაბამისი წლის სამოქმედო გეგმის პროექტის შემუშავება;
- სამოქმედო გეგმის შესრულების კვარტალური და წლიური ანგარიშების მომზადების ხელშეწყობა;
- სამოქმედო გეგმის შესრულების პროცესში სამინისტროს სისტემაში შემავალი სუბიექტების საქმიანობის კოორდინაცია;
- რეფორმის სტრატეგიის და შესაბამისი წლის სამოქმედო გეგმის განხორციელების მონიტორინგი;
- სახელმწიფო სექტორის ფინანსური მართვის რეფორმების მიმართულებით საქართველოს კონტროლის პალატასა და სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოსთან თანამშრომლობის ხელშეწყობა.

საკოორდინაციო საბჭოს მუშაობაში საქართველოს ფინანსთა სამინისტროს წარმომადგენლების გარდა მონაწილეობას იღებენ საქართველოს პარლამენტის წევრები, კონტროლის პალატისა და სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს წარმომადგენლები, დონორი ქვეყნების, არასამთავრობო და საერთაშორისო ორგანიზაციების წარმომადგენლები.

4) სამოქმედო გეგმა

სახელმწიფო ფინანსების მართვის რეფორმის მნიშვნელოვან ასპექტს წარმოადგენს სტრატეგიული დოკუმენტის და სამოქმედო გეგმის შემუშავება. სტრატეგიული დოკუმენტის პარალელურად ფინანსთა სამინისტრომ შეიმუშავა და წარმატებით განახორციელა 2009 და 2010 წლის სამოქმედო გეგმები.

სახელმწიფო ფინანსების მართვის რეფორმის 2011 წლის სამოქმედო გეგმა დამტკიცდა საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2011 წლის 1 აპრილის #192 ბრძანებით, მას შემდეგ რაც განხილულ იქნა PFM-ის რეფორმის საკოორდინაციო საბჭოს სხდომაზე (2011 წლის 11 მარტი).

აღნიშნულ სხდომაზე 2011 წლის PFM-ის სამოქმედო გეგმები წარმოადგინეს აგრეთვე საქართველოს კონტროლის პალატამ და სახელმწიფო შესყიდვების სააგენტომ.

წინამდებარე დოკუმენტი წარმოადგენს ზემოაღნიშნული სამოქმედო გეგმების განხორციელების წლიურ ანგარიშგებას. შესაბამისად, საქართველოს კონტროლის პალატის და სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს მიერ მომზადებული ანგარიშები წარმოდგენილია დანართების სახით (დანართი I; დანართი II).

წინამდებარე დოკუმენტი უზრუნველყოფს ფინანსთა სამინისტროს, ასევე საქართველოს კონტროლის პალატის და სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს მიერ სახელმწიფო ფინანსების მართვის სფეროში დაგეგმილი რეფორმების განხორციელების გამჭვირვალობასა და ანგარიშგებას.

I - ბიუჯეტირება

1. ბიუჯეტის დაგეგმვის და მართვის სრულყოფა

1.1 პროგრამული ბიუჯეტის შედგენის მეთოდოლოგიის შემუშავება

პასუხისმგებელი სტრუქტურა: საბიუჯეტო დეპარტამენტი

შესრულების მაჩვენებელი: საქართველოს ფინანსთა მინისტრის ბრძანება პროგრამული ბიუჯეტის მეთოდოლოგიის დამტკიცების შესახებ

პერიოდი: იანვარი – ივნისი

პროგრესი: საბიუჯეტო კოდექსის შესაბამისად, 2012 წლიდან სახელმწიფო ბიუჯეტის პროგრამული ფორმატით დაგეგმვის მიზნით შემუშავებულ იქნა პროგრამული ბიუჯეტის შედგენის მეთოდოლოგია, რომელიც შეთანხმდა საქართველოს პარლამენტის საფინანსო-საბიუჯეტო კომიტეტთან და დამტკიცდა საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2011 წლის 8 ივლისის №385 ბრძანებით. ამ მიმართულებით სამუშაოები დაიწყო 2009 წლიდან. კერძოდ, პროგრამული ბიუჯეტის დანერგვასთან დაკავშირებით შეიქმნა სამუშაო ჯგუფები, რომელშიც მონაწილეობას იღებენ შესაბამისი სამინისტროების და უწყებების წარმომადგენლები, ასევე საქართველოს პარლამენტის საბიუჯეტო ოფისისა და საქართველოს კონტროლის პალატის წარმომადგენლები. აღნიშნული სამუშაო ჯგუფების მუშაობისას გამოთქმული წინადადებები და მოსაზრებები, აგრეთვე სხვადასხვა საერთაშორისო ორგანიზაციების რეკომენდაციები, ასახულია პროგრამული ბიუჯეტის მეთოდოლოგიაში

შენიშვნა: დასრულებულია

1.2 კაპიტალური ბიუჯეტის შედგენის ინსტრუქციის შემუშავება, რომელიც აისახება საქართველოს ფინანსთა მინისტრის მიერ დამტკიცებულ პროგრამული ბიუჯეტის შედგენის მეთოდოლოგიაში

პასუხისმგებელი სტრუქტურა: საბიუჯეტო დეპარტამენტი

შესრულების მაჩვენებელი: საქართველოს ფინანსთა მინისტრის ბრძანება პროგრამული ბიუჯეტის მეთოდოლოგიის დამტკიცების შესახებ

პერიოდი: იანვარი – ივნისი

პროგრესი: საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2011 წლის 8 ივლისის №385 ბრძანებით დამტკიცებული პროგრამული ბიუჯეტის შედგენის მეთოდოლოგია ასევე მოიცავს კაპიტალური ბიუჯეტის შედგენის ინსტრუქციასაც

შენიშვნა: დასრულებულია

1.3 2010 წლის ბიუჯეტის შესრულების ანგარიშთან ერთად პროგრამული ბიუჯეტის დანერგვის მიზნით შერჩეული პილოტი სამინისტროების პროგრამული ბიუჯეტის შესრულების ანგარიშის მომზადება

პასუხისმგებელი სტრუქტურა: საბიუჯეტო დეპარტამენტი

შესრულების მაჩვენებელი: 2010 წლის პროგრამული ბიუჯეტის შესრულების ანგარიში

პერიოდი: თებერვალი – აპრილი

პროგრესი: 2010 წლისათვის, ინფორმაციული სახით, პილოტმა სამინისტროებმა (საქართველოს განათლებისა და მეცნიერების, საქართველოს იუსტიციის და საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროები) მოამზადეს პროგრამული ბიუჯეტების შესრულების ანგარიშები. ასევე საქართველოს ფინანსთა სამინისტრომ და საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრომ მოამზადეს 2010 წლის კაპიტალური ბიუჯეტების შესრულების ანგარიშები

შენიშვნა: დასრულებულია

1.4 პროგრამული და კაპიტალური ბიუჯეტის შესრულების ანგარიშის ფორმების მომზადება, რომელიც შესაბამისობაში იქნება საბიუჯეტო კოდექსთან

პასუხისმგებელი სტრუქტურა: საბიუჯეტო დეპარტამენტი

შესრულების მაჩვენებელი: პროგრამული და კაპიტალური ბიუჯეტის შესრულების ანგარიშის ფორმები

პერიოდი: ივნისი – ნოემბერი

პროგრესი: პროგრამული და კაპიტალური ბიუჯეტის შესრულების ანგარიშის ფორმები მომზადდა და წარმოადგენს 1.1 პუნქტში მითითებული პროგრამული ბიუჯეტის მეთოდოლოგიის ნაწილს

შენიშვნა: დასრულებულია

1.5 ბიუჯეტის დადგენის და მართვის ელექტრონული სისტემის დახვეწა

პასუხისმგებელი სტრუქტურა: საბიუჯეტო დეპარტამენტი; სახაზინო სამსახური; სსიპ საფინანსო-ანალიტიკური სამსახური

შესრულების მაჩვენებელი: ბიუჯეტის დადგენის და მართვის გამართული ელექტრონული პროგრამა (E-Budget)

პერიოდი: იანვარი – დეკემბერი

პროგრესი: დადგენის და მართვის ელექტრონულ პროგრამაში E-budget შემუშავდა ბიუჯეტის აღსრულებისას გეგმების კონტროლის და ბიუჯეტის კანონის ცვლილების მოდულები. აღნიშნული ელექტრონული პროგრამის გამოყენებიდან გამომდინარე, საქართველოს ფინანსთა მინისტრის ბრძანებით დამტკიცდა სახელმწიფო ბიუჯეტით გამოყოფილი ასიგნებების საბიუჯეტო კლასიფიკაციის მუხლებსა და კოდებს შორის თანხების გადანაწილების ახალი წესი.

ამასთან 2012 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის პროექტის პროგრამულ ფორმატში მოსამზადებლად საბიუჯეტო განაცხადის ფორმები განახლდა ბიუჯეტის მართვის ელექტრონულ პროგრამაში (E-Budget) და დაემატა შესაბამისი ჩანართები.

მუშაობა მიმდინარეობდა ბიუჯეტის მართვის ელექტრონული პროგრამის (E-Budget) დახვეწისა და ელექტრონული ხაზინის (E-Treasury) სისტემასთან ინტეგრაციის მიზნით, რაც წარმატებით განხორციელდა

შენიშვნა: დასრულებულია

1.6 ქვეყნის ძირითადი მონაცემების და მიმართულებების დოკუმენტის მომზადება 2012-2015 წლებისათვის

პასუხისმგებელი სტრუქტურა: საბიუჯეტო დეპარტამენტი

შესრულების მაჩვენებელი: „ქვეყნის ძირითადი მონაცემების და მიმართულებების დოკუმენტის შედგენის მიზნით განსახორციელებელ ღონისძიებათა შესახებ“ საქართველოს მთავრობის დადგენილება და 2012-2015 წლების ქვეყნის ძირითადი მონაცემების და მიმართულებების დოკუმენტი (პირველადი და გადამუშავებული ვარიანტები)

პერიოდი: თებერვალი – დეკემბერი

პროგრესი: საქართველოს მთავრობის 2011 წლის 1 მარტის №108 დადგენილების - „ქვეყნის ძირითადი მონაცემების და მიმართულებების დოკუმენტის შედგენის მიზნით განსახორციელებელ ღონისძიებათა შესახებ“ თანახმად, შესაბამისმა ორგანიზაციებმა წარმოადგინეს ინფორმაცია 2009-2010 წლებში განსაზღვრული პრიორიტეტების ფარგლებში შესრულებული სამუშაოებზე და 2011 წლის პრიორიტეტების ფარგლებში დაგეგმილი ღონისძიებების მიმდინარეობის შესახებ; ასევე წარმოადგინეს პრიორიტეტები 2012-2015 წლებისათვის და ასიგნებებისა და რიცხოვნობის საორიენტაციო ზღვრული მოცულობები. ინფორმაცია ძირითადი მაკროეკონომიკური პროგნოზებისა და სამინისტროების ძირითადი მიმართულებების შესახებ დადგენილ ვადაში წარედგინა საქართველოს პარლამენტს. პარლამენტის მიერ გამოთქმული შენიშვნების გათვალისწინებით, საქართველოს მთავრობა საქართველოს საბიუჯეტო კოდექსით დადგენილ ვადაში მოიწონა ქვეყნის ძირითადი მონაცემების და მიმართულებების დოკუმენტის პირველადი ვარიანტი.

დადგენილ ვადებში „საქართველოს 2012 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონის პროექტის საქართველოს პარლამენტში სამივე წარდგენასთან ერთად, პარლამენტს წარედგინა ბიუჯეტის პროექტთან შესაბამისობაში მყოფი 2012-2015 წლების ქვეყნის ძირითადი მონაცემების და მიმართულებების დოკუმენტის გადამუშავებული ვარიანტები, როგორც ბიუჯეტის პროექტი პაკეტის ნაწილი. აღნიშნულმა დოკუმენტმა განსაზღვრა მხარჯავი დაწესებულებების მომუშავეთა რიცხოვნობისა და ასიგნებების ზღვრული მოცულობები, რომლის ფარგლებშიც მხარჯავმა დაწესებულებებმა წარმოადგინეს საბიუჯეტო განაცხადები. ამასთან პროგრამულ ბიუჯეტზე გადასვლასთან დაკავშირებით ქვეყნის ძირითადი მონაცემების და მიმართულებების დოკუმენტი მომზადდა განახლებული ფორმატით, რაც გულისხმობს, რომ დოკუმენტში წარმოდგენილია არა მხარჯავი დაწესებულებების პრიორიტეტები და მათი დაფინანსების მოცულობები, არამედ ის პროგრამები, რომელთაც მხარჯავი დაწესებულებები ბიუჯეტის ძირითადი პრიორიტეტების ფარგლებში ახორციელებენ სახელმწიფო ბიუჯეტის დაფინანსებით ან თანადაფინანსებით. 2012-2015 წლების ქვეყნის ძირითადი მონაცემების და მიმართულებების დოკუმენტი დაეყრდნო საქართველოს მთავრობის მიერ მიმდინარე წელს შემოშავებულ „10 პუნქტიან გეგმას“ და აღნიშნული გეგმა სრულად ასახულია BDD დოკუმენტში

შენიშვნა: დასრულებულია, ქვეყნის ძირითადი მონაცემების და მიმართულებების დოკუმენტის საბოლოო ვარიანტი კანონით დადგენილი ვადებში, 2012 წლის 31 იანვრამდე წარედგინება საქართველოს პარლამენტის საფინანსო-საბიუჯეტო კომიტეტს.

1.7 სამინისტროების წარმომადგენლებთან, პროგრამულ და კაპიტალურ ბიუჯეტთან დაკავშირებით სამუშაო შეხვედრების და ტრენინგების ორგანიზება

პასუხისმგებელი სტრუქტურა: საბიუჯეტო დეპარტამენტი

შესრულების მაჩვენებელი: პროგრამული და კაპიტალური ბიუჯეტის მომზადებაში ჩართულ პირთა შესაძლებლობებისა და შესაბამისი უნარების ამაღლება

პერიოდი: მარტი – სექტემბერი

პროგრესი: 2011 წლის 18 მარტს საქართველოს ფინანსთა სამინისტროს ორგანიზებით სასტუმრო შერატონ მეტეხი პალასში გაიმართა შეხვედრა სხვადასხვა სამინისტროების წარმომადგენლების მონაწილეობით პროგრამულ და კაპიტალურ ბიუჯეტირებაზე გადასვლასთან დაკავშირებულ საკითხებზე. შეხვედრაზე პილოტი სამინისტროების წარმომადგენლებმა გამოცდილება გაუზიარეს სხვა სამინისტროების

წარმომადგენლებს. გაიმართა დისკუსია და მოსაზრებები გამოთქვეს საქართველოს პარლამენტის საბიუჯეტო ოფისის და კონტროლის პალატის წარმომადგენლებმა. “პროგრამული ბიუჯეტის დანერგვასთან დაკავშირებული ზოგიერთი ღონისძიების განხორციელების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2011 წლის 31 მარტის №718 განკარგულების საფუძველზე სამინისტროებმა და უწყებებმა შექმნეს სამუშაო ჯგუფები. სამუშაო ჯგუფი მუშაობას შეუდგა საქართველოს ფინანსთა სამინისტროშიც, რომელშიც მონაწილეობას იღებენ შესაბამისი სამინისტროების და უწყებების წარმომადგენლები საქართველოს პარლამენტის საბიუჯეტო ოფისისა და საქართველოს კონტროლის პალატის წარმომადგენლებთან ერთად. აღნიშნული შეხვედრების და სამუშაო ჯგუფების მუშაობისას გამოთქმული წინადადებები და მოსაზრებები აისახა პროგრამული ბიუჯეტის მეთოდოლოგიაში.

აგვისტოში, საქართველოს ფინანსთა სამინისტროს ორგანიზებით გაცნობითი ხასიათის შეხვედრა გაიმართა მასმედიის წარმომადგენლებთან ქ.ბათუმში, რომელთაც საქართველოს ფინანსთა მინისტრმა გააცნო პროგრამული ბიუჯეტის შედგენის მეთოდოლოგია, პროგრამული ბიუჯეტის ძირითადი პრინციპები და მიმოიხილა ქვეყნის მაკროეკონომიკური მდგომარეობა.

ბიუჯეტის მართვის ელექტრონული სისტემის სიახლეების მხარჯავი დაწესებულებებისათვის გაცნობის მიზნით ჩატარდა სამუშაო შეხვედრები მხარჯავი დაწესებულებების იმ წარმომადგენლებთან, ვინც მუშაობს ბიუჯეტის დაგეგმვასა და მართვაზე

შენიშვნა: დასრულებულია

1.8 სათანადო ღონისძიებების გატარება 2011 წლის ბიუჯეტის დეფიციტის 4%-ის ფარგლებში შენარჩუნების მიზნით

პასუხისმგებელი სტრუქტურა: საბიუჯეტო დეპარტამენტი

შესრულების მაჩვენებელი: 2011 წლის ბიუჯეტის დეფიციტი შენარჩუნებულია 4%-ის ფარგლებში

პერიოდი: იანვარი – დეკემბერი

პროგრესი: მიმდინარე ანალიზიდან გამომდინარე და ქვეყნის პრიორიტეტების გათვალისწინებით, „საქართველოს 2011 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონში შეტანილი ცვლილებით ბიუჯეტის ზრდის მიუხედავად, თავდაპირველად დაგეგმილი 4.3%-დან დეფიციტი შემცირდა და ფაქტიურმა მაჩვენებელმა შეადგინა 3.7%

შენიშვნა: დასრულებულია

1.9 2012 წლის ბიუჯეტის დაგეგმვა, იმ მოცულობის დეფიციტის ფარგლებში, რითაც შესაძლებელი იქნება 2013 წელს ბიუჯეტის დაგეგმვა 3%-ზე ნაკლები დეფიციტით

პასუხისმგებელი სტრუქტურა: საბიუჯეტო დეპარტამენტი

შესრულების მაჩვენებელი: 2013 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის დეფიციტი 3%-ზე ნაკლებია

პერიოდი: იანვარი – დეკემბერი

პროგრესი: საშუალოვადიან პერსპექტივაში, მაკროეკონომიკური პროგნოზების მიხედვით 2012 წლისათვის დეფიციტი დაიგეგმა 3.5%-ით, რაც უზრუნველყოფს 2013 წლისათვის ამ მაჩვენებლის 2.9%-მდე შემცირებას

შენიშვნა: დასრულებულია, 2011 წელს განსახორციელებელი ღონისძიებების ფარგლებში

1.10 2012 წლის ბიუჯეტის კანონპროექტში ყველა სამინისტროს ხარჯები მომზადდება პროგრამული ბიუჯეტის ფორმატში

პასუხისმგებელი სტრუქტურა: საბიუჯეტო დეპარტამენტი

შესრულების მაჩვენებელი: 2012 წლის ბიუჯეტის კანონპროექტი შედგენილია პროგრამული ბიუჯეტის ფორმატში

პერიოდი: ივლისი – დეკემბერი

პროგრესი: მომზადდა, საქართველოს პარლამენტს წარედგინა და მის მიერ დამტკიცებულ იქნა „საქართველოს 2012 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონის პროექტი რომელშიც ასიგნებები გაწერილია მხარჯავი დაწესებულებების პროგრამების მიხედვით და ბიუჯეტი მოიცავს თითოეული პროგრამისა და ქვეპროგრამის აღწერას. ბიუჯეტის პროექტის დანართში კი წარმოდგენილია ინფორმაცია საშუალოვადიან პერიოდში პროგრამების დაფინანსების შესახებ, ასევე პროგრამებისა და ქვეპროგრამების მოსალოდნელი შედეგებისა და მათი შესრულების შეფასების ინდიკატორების შესახებ

შენიშვნა: დასრულებულია

1.11 2012 წლის ბიუჯეტში სრულად იქნება ასახული ყველა სამინისტროს მსხვილი ინფრასტრუქტურული პროექტები კაპიტალური ბიუჯეტის ფორმატში

პასუხისმგებელი სტრუქტურა: საბიუჯეტო დეპარტამენტი

შესრულების მაჩვენებელი: 2012 წლის კაპიტალური ბიუჯეტი ასახავს ყველა სამინისტროს მსხვილ ინფრასტრუქტურულ პროექტს

პერიოდი: ივლისი – დეკემბერი

პროგრესი: მომზადდა კაპიტალური პროექტების შესახებ ინფორმაცია, რომელიც დანართის სახით თან დაერთო „საქართველოს 2012 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონის პროექტის საბოლოო ვერსიას პარლამენტში წარდგენისას. დანართში წარმოდგენილია ყველა კაპიტალური პროექტის აღწერა, ასევე ინფორმაცია გრძელვადიან პერიოდში მოსალოდნელი შედეგების, დაფინანსების მოცულობისა და წყაროების შესახებ

შენიშვნა: დასრულებულია

1.12 საჯარო სამართლის იურიდიული პირების ბაზის გაფართოება და სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების კვარტალურ და წლიურ ანგარიშებთან ერთად მათი ანგარიშების მომზადება

პასუხისმგებელი სტრუქტურა: საბიუჯეტო დეპარტამენტი

შესრულების მაჩვენებელი: საჯარო სამართლის იურიდიული პირების ბაზა განახლებულია და სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების კვარტალურ და წლიურ ანგარიშებთან ერთად მომზადებულია საჯარო სამართლის იურიდიული პირების შესრულების კვარტალური და წლიური ანგარიშები

პერიოდი: იანვარი – დეკემბერი

პროგრესი: „საქართველოს 2011 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონის 28-ე მუხლის შესაბამისად მომზადდა საქართველოს მთავრობის 2011 წლის 1 აპრილის №163 დადგენილება „ზოგიერთი საჯარო სამართლის იურიდიული პირის ნუსხის განსაზღვრის თაობაზე“, რომლის თანახმად 160 სსიპ-ი საქართველოს ფინანსთა სამინისტროში წარმოადგენს 2011 წლის შესრულების 6 თვის და წლიურ ანგარიშებს. ამასთან ერთად, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს დაევალა რესურსცენტრების

მეშვეობით ამ რესურსცენტრების სამოქმედო არეალში არსებული საჯარო სკოლების შესრულების 6 თვის და წლიური ნაერთი ანგარიშების წარმოდგენა. შედეგად გაიზარდა იმ ორგანიზაციათა სია, რომელთა შესრულების ანგარიშების დამუშავება ხდება საქართველოს ფინანსთა სამინისტროში, რაც წინ გადადგმული ნაბიჯია ქვეყნის ნაერთი ანგარიშის შედგენისათვის. 2011 წლის ივლისში 2011 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების შესახებ 6 თვის ანგარიშთან ერთად მომზადდა დადგენილებით გათვალისწინებული საჯარო სამართლის იურიდიული პირების ბიუჯეტების 6 თვის შესრულების შეფასების ანგარიშები. წლიური ანგარიშები მომზადდება კანონით დადგენილ ვადაში, 2012 წლის პირველ კვარტალში

შენიშვნა: დასრულებულია, 2011 წელს განსახორციელებელი ღონისძიებების ფარგლებში

1.13 საბიუჯეტო კანონმდებლობის და შესაბამისი სამართლებრივი აქტების გაანალიზება და საჭიროების შემთხვევაში მათში სათანადო ცვლილებების შეტანა

პასუხისმგებელი სტრუქტურა: საბიუჯეტო დეპარტამენტი

შესრულების მაჩვენებელი: საბიუჯეტო კანონმდებლობის და შესაბამისი სამართლებრივი აქტების დახვეწა

პერიოდი: იანვარი – დეკემბერი

პროგრესი: სახელმწიფო ფინანსების მართვის სფეროში მიმდინარე რეფორმებიდან გამომდინარე მიმდინარეობდა საკანონმდებლო ბაზის და კანონქვემდებარე აქტების სრულყოფა. მომზადდა პროგრამული ბიუჯეტის მეთოდოლოგია, საქართველოს საბიუჯეტო კლასიფიკაციაში ცვლილებები, ავტონომიური რესპუბლიკების რესპუბლიკური და ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულების ბიუჯეტების დაფინანსებაზე მყოფი საბიუჯეტო ორგანიზაციების მიერ ვალდებულების აღებისა და გადახდების განხორციელების წესის ახალი ინსტრუქცია. შემუშავდა და საქართველოს პარლამენტის მიერ მიღებულ იქნა, პროგრამული ბიუჯეტის დანერგვასთან დაკავშირებით, ცვლილებები საქართველოს საბიუჯეტო კოდექსში. საქართველოს საბიუჯეტო კოდექსისა და „საქართველოს 2012 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონებიდან გამომდინარე მომზადდა/ცვლილებები შევიდა შესაბამისი კანონქვემდებარე აქტებში

შენიშვნა: დასრულებულია

II - რესურსების მართვა

1. სახელმწიფო საკუთრებაში მიქცეული ქონების ეფექტური მართვა

1.1 სავაჭრო ობიექტების გახსნა

პასუხისმგებელი სტრუქტურა: სსიპ მომსახურების სააგენტო

შესრულების მაჩვენებელი: ქ.სამტრედიაში და ქ.ახალციხეში სააგენტოს სავაჭრო ობიექტების გახსნა

პერიოდი: იანვარი – მაისი

პროგრესი: სამტრედიაში მარტში გაიხსნა მომსახურების სააგენტოს რიგით მეოთხე სავაჭრო ობიექტი. აღნიშნული ობიექტის გახსნით რეგიონში მცხოვრებ მოსახლეობას საშუალება მიეცა მარტივად შეიძინოს სახელმწიფო საკუთრებაში მიქცეული ქონება. მომსახურების სააგენტოს სავაჭრო ობიექტები სარგებლობენ დიდი პოპულარობით, როგორც დედაქალაქში ასევე რეგიონში. აღნიშნულ მაღაზიებში იყიდება პირველადი

მოხმარების ნივთები, ტანსაცმელი, ელექტროტექნიკა და სამეურნეო საქონელი. სექტემბერში ქ.ახალციხეში გაიხსნა მორიგი სავაჭრო ობიექტი

შენიშვნა: დასრულებულია

1.2 ელექტრონულ (ინტერნეტ) აუქციონზე და ინტერნეტ მაღაზიაში ქონების განვადებით შეძენა

პასუხისმგებელი სტრუქტურა: სსიპ მომსახურების სააგენტო

შესრულების მაჩვენებელი: ლიბერთი ბანკთან გაფორმებული მემორანდუმი (საგანვადებო კრედიტის კუთხით)

პერიოდი: იანვარი – აპრილი

პროგრესი: ლიბერთი ბანკთან ქონების განვადებით შეძენასთან დაკავშირებით გაფორმდა მემორანდუმი 2010 წლის დეკემბერში და ამოქმედდა 2011 წლიდან. აღნიშნული მემორანდუმის შედეგად, www.eauction.ge სისტემაში რეგისტრირებულ ყველა ფიზიკურ პირს აქვს შესაძლებლობა ონლაინ რეჟიმში შეავსოს ბანკის საგანვადებო კრედიტის განაცხადი, რომელსაც შემდგომ ბანკი განიხილავს

შენიშვნა: დასრულებულია

1.3 მოქალაქეთა სერვის ცენტრის გახსნა ქ.ქუთაისში

პასუხისმგებელი სტრუქტურა: სსიპ მომსახურების სააგენტო

შესრულების მაჩვენებელი: მომსახურების ცენტრი ფუნქციონირებს და ემსახურება მოქალაქეებს

პერიოდი: თებერვალი – დეკემბერი

პროგრესი: მიმდინარეობს ქ.ქუთაისში სერვის ცენტრის მოწყობა და კადრების შერჩევა. ამასთან, მომსახურების ცენტრები ფუნქციონირებს ქ.თბილისში, ქ.სამტრედიაში და ქ.ახალციხეში. მომსახურების ცენტრები ემსახურებიან იმ მოქალაქეებს, რომლებსაც არ აქვთ შესაძლებლობა ან კომპიუტერის სათანადო ცოდნა, შესაბამისად კონსულტანტების დახმარებით გადიან რეგისტრაციას www.eauction.ge სისტემაში და ღებულობენ მონაწილეობას ელ. აუქციონში. რადგან ელ. აუქციონი არის ინოვაციური პროდუქტი საქართველოს მოსახლეობისათვის, ზემოაღნიშნული მომსახურების ცენტრების ამოქმედება ნებისმიერ მსურველს აძლევს საშუალებას მიიღოს სრულფასოვანი კონსულტაცია ელ. აუქციონის სისტემის შესახებ და შეძლოს ისარგებლოს ქონების შეძენის გამარტივებული ფორმით. აგვისტოში ქ.თბილისში ასევე გაიხსნა კიდევ ერთი მომსახურების ცენტრი

შენიშვნა: დასრულებულია

1.4 ადგილზე მიტანის სერვისის მასშტაბის გაფართოება

პასუხისმგებელი სტრუქტურა: სსიპ მომსახურების სააგენტო

შესრულების მაჩვენებელი: ადგილზე მიტანის სერვისი ვრცელდება რეგიონში მცხოვრებ მოსახლეობაზეც

პერიოდი: იანვარი – ნოემბერი

პროგრესი: www.eauction.ge-ის მეშვეობით მომსახურების სააგენტოს მიერ რეალიზებული ქონების ნაწილზე ვრცელდება ადგილზე მიტანის სერვისი, რომელიც უფასოა და მოქმედებს ქ.თბილისში. 2011 წელს დაიწყო მუშაობა ადგილზე მიტანის სერვისის რეგიონში მცხოვრებ მოსახლეობაზე გავრცელების მიმართულებით. აღნიშნული მომსახურება იქნება ფასიანი. პარალელურად მიმდინარეობს მოლაპარაკებები გადამზიდავ კომპანიებთან

შენიშვნა: მიმდინარეობს მოლაპარაკება საქართველოს ფოსტასთან პირობებსა და ონლაინ სერვისების თაობაზე

1.5 www.eauction.ge სისტემაში კერძო და სახელმწიფო სექტორის ინტეგრირება

პასუხისმგებელი სტრუქტურა: სსიპ მომსახურების სააგენტო

შესრულების მაჩვენებელი: საქართველოს ფინანსთა მინისტრის ბრძანება

პერიოდი: იანვარი – დეკემბერი

პროგრესი: 2011 წლის თებერვალში www.eauction.ge სისტემაში ჩაერთო იუსტიციის სამინისტროს სსიპ აღსრულების ეროვნული ბიურო, შპს სახელმწიფო მომსახურების ბიურო, კერძო და იურიდიული პირები. აღნიშნულმა სტრუქტურებმა ელექტრონულ ფორმატზე გადასვლით მიაღწიეს პროცედურების გამარტივებას, დროის დაზოგვას და პროცესების სრულ გამჭვირვალობას

შენიშვნა: მიმდინარეობს, ვინაიდან ონლაინ აუქციონების სისტემაში www.eauction.ge მუდმივად ხორციელდება ახალი სტრუქტურების ინტეგრირება

1.6 მკაცრი აღრიცხვის ფორმების ონლაინ რეგისტრაცია

პასუხისმგებელი სტრუქტურა: სსიპ მომსახურების სააგენტო

შესრულების მაჩვენებელი: მკაცრი აღრიცხვის ფორმების რეგისტრაციის განხორციელება, როგორც მატერიალური, ისე ელექტრონული სარეგისტრაციო დოკუმენტების საფუძველზე

პერიოდი: იანვარი – თებერვალი

პროგრესი: მკაცრი აღრიცხვის ფორმების (მაგ. დიპლომი, ანგარიშ-ფაქტურა, პასპორტი, ბიულეტენი და სხვ.) რეგისტრაციის გამარტივების მიზნით შესაძლებელი გახდა ამ ფორმების ელექტრონული რეგისტრაცია. ამასთან, გადაწყვეტილება მკაცრი აღრიცხვის ფორმების რეგისტრაციისა, თუ რეგისტრაციაზე უარის თქმის შესახებ, მომხმარებელს ეგზავნება ელექტრონულად. აღნიშნული ელექტრონული მომსახურების დანერგვა მომხმარებელს საგრძნობლად უადვილებს დოკუმენტაციის რეგისტრაციასთან დაკავშირებული პროცედურების განხორციელებას. აღნიშნულმა სიახლემ განსაკუთრებით დადებითი შედეგი გამოიღო რეგიონებში არსებული მომხმარებლებისათვის, ვინაიდან მათთვის დედაქალაქში ჩამოსვლა აღარ არის საჭირო

შენიშვნა: დასრულებულია

1.7 წამახალისებელი გათამაშების მოწყობის მსურველების ონლაინ რეგისტრაცია

პასუხისმგებელი სტრუქტურა: სსიპ მომსახურების სააგენტო

შესრულების მაჩვენებელი: საკანონმდებლო ცვლილებები და პარალელურად სისტემის შექმნა/დანერგვა

პერიოდი: თებერვალი – აპრილი

პროგრესი: შემუშავდა ელექტრონული პროგრამა წამახალისებელი გათამაშების მოწყობის მსურველთა მიერ თამაშობის ზოგადი წესის მომსახურების სააგენტოსთან ელექტრონულად შეთანხმებისათვის და მიმდინარეობს მუშაობა პროგრამის ასამოქმედებლად საჭირო საკანონმდებლო ცვლილებებზე. თამაშობის ზოგადი წესის ელექტრონული გზით შეთანხმება დაინტერესებულ პირს გაუადვილებს დოკუმენტაციის წარმოდგენისა და პასუხის მიღების პროცესს, რომელიც მოხდება გაცილებით მარტივად და შემჭიდროვებულ ვადებში

შენიშვნა: დასრულებულია

1.8 სახელმწიფო საკუთრებაში მიქცეული ქონების ლიზინგის ფორმით სარგებლობაში გადაცემა

პასუხისმგებელი სტრუქტურა: სსიპ მომსახურების სააგენტო

შესრულების მაჩვენებელი: საკანონმდებლო ცვლილებების განხორციელება

პერიოდი: თებერვალი – აგვისტო

პროგრესი: საქართველოს საგადასახადო კოდექსში ცვლილებების შეტანის შემდეგ, განხორციელდება შესაბამისი ცვლილებები „სახელმწიფოს საკუთრებაში მიქცეული მოძრავი ქონების საფასურის განსაზღვრის, ამ ქონების აღრიცხვის, შენახვის, შეფასებისა და განკარგვის წესისა და პირობების, აგრეთვე რეალიზაციის შედეგად ამონაგები თანხის განაწილების წესის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2010 წლის 8 ოქტომბრის N 771 ბრძანებაში. საკუთრებაში არსებული ქონების ლიზინგის ფორმით სარგებლობაში გადაცემა, როგორც ქონების განკარგვის ერთერთი ფორმა, დაემატა სახელმწიფოს საკუთრებაში მიქცეული ქონების განკარგვის ფორმებს, სახელმწიფო ქონების შესახებ საქართველოს კანონში 2011 წლის 15 დეკემბერს შესული დამატებით. აღნიშნული ფორმის ამოქმედებისთვის საჭიროა ცვლილებების შეტანა საქართველოს საგადასახადო კოდექსში. ამჟამად, მიმდინარეობს ცვლილებათა პაკეტის განხილვა საქართველოს საკანონმდებლო ორგანოში. ლიზინგის ფორმით ქონების მიღება საკმაოდ მომგებიანია დაინტერესებული პირისთვის, რომელსაც შესაძლებლობა ეძლევა გარკვეული ვადით ისარგებლოს ქონებით, მისი შესყიდვის სამომავლო პერსპექტივით

შენიშვნა: დასრულებულია

1.9 სამთავრობო სტრუქტურებთან ელექტრონული დოკუმენტბრუნვის სისტემების ინტეგრაცია

პასუხისმგებელი სტრუქტურა: სსიპ მომსახურების სააგენტო

შესრულების მაჩვენებელი: სამთავრობო სტრუქტურებთან ინფორმაციის გაცვლა ელექტრონული დოკუმენტბრუნვის სისტემის მეშვეობით

პერიოდი: მარტი – დეკემბერი

პროგრესი: მიმდინარეობს მუშაობა მომსახურების სააგენტოში არსებული ელექტრონული დოკუმენტბრუნვის სისტემის სხვადასხვა სახელმწიფო სტრუქტურებთან დაკავშირების მიმართულებით, რომლის შედეგად მაქსიმალურად შემცირდება ბიუროკრატიული პროცედურები და შემცირდება წერილობით რეაგირების/პასუხის გაცემის დრო

შენიშვნა: მიმდინარეობს. პროექტზე მუშაობა ჯერ არ დასრულებულა

1.10 ელექტრონულ აუქციონზე გადახდილი საგარანტიო თანხების დაბრუნების პროცედურის გამარტივება

პასუხისმგებელი სტრუქტურა: სსიპ მომსახურების სააგენტო

შესრულების მაჩვენებელი: გამარტივებული პროცედურები

პერიოდი: მარტი – დეკემბერი

პროგრესი: მომხმარებლის მიერ ელექტრონულ აუქციონზე გადახდილი საგარანტიო თანხის დაბრუნების არსებული პროცედურა მოქალაქეებისთვის საკმაოდ მოუხერხებელია (თანხის დასაბრუნებლად მოქალაქეს უწევს განცხადებით მიმართვა ქონების შესაბამის განმკარგავთან). ამჟამად მიმდინარეობს საგარანტიო თანხის დაბრუნების პროცედურების გამარტივება, რისთვისაც eauction-ის სისტემის მომხმარებლებს აქვთ საშუალება შეუკვეთონ უფასო სადებეტო პლასტიკური ბარათი და საგარანტიო თანხა გადაიხადონ/დაიბრუნონ ამ საბარათე ანგარიშზე. ასევე, შემდგომ ეტაპზე იგეგმება ნაღდი ანგარიშსწორებით გადახდილი თანხების უკან დაბრუნების პროცედურის გამარტივება. კერძოდ, მოქალაქეები eauction-ის სისტემის საშუალებით გადახდილ თანხას დაიბრუნებენ შესაბამის საბანკო დაწესებულებაში მაქსიმალურად გამარტივებული პროცედურებით.

აუქციონების სისტემას დაემატა გადახდის ახალი ფორმა "ელექტრონული საბანკო გარანტია". საბანკო გარანტიას გასცემს კომერციული ბანკი და სადაზღვევო კომპანიები, ხოლო მათ მიერ გაცემულ გარანტიას არეგისტრირებს სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო. გარანტიას ენიჭება უნიკალური კოდი რომლის მეშვეობით შემდგომში მოქალაქე შეძლებს www.eauction.ge-ზე აუქციონში მონაწილეობის მიღებას

შენიშვნა: დასრულებულია

1.11 ონლაინ აუქციონის სისტემის ფუნქციონალის ოპტიმიზაცია

პასუხისმგებელი სტრუქტურა: სსიპ მომსახურების სააგენტო

შესრულების მაჩვენებელი: გაუმჯობესებული მომსახურება

პერიოდი: მარტი – დეკემბერი

პროგრესი: შეიცვალა www.eauction.ge დიზაინი. ელექტრონულ გადახდებში დაემატა ახალი ბანკი Liberty Bank, რომელიც მომხმარებელს სთავაზობს მომსახურების დაბალ ფასებს. ყველა განხორციელებული და დაგეგმილი სამუშაოები www.eauction-ის სიტემის დახვეწის მიმართულებით კიდევ უფრო მარტივს გახდის აუქციონში მონაწილეობას

შენიშვნა: მიმდინარეობს. პროცესი არის მუდმივი. სისტემატიურად ხდება ფუნქციონალის განახლება და მომხმარებლების მოთხოვნებზე მაქსიმალურად მორგება

1.12 www.eauction.ge სისტემის სამხრეთ კავკასიაში პოპულარიზაცია და საერთაშორისო გაყიდვების სტიმულირება

პასუხისმგებელი სტრუქტურა: სსიპ მომსახურების სააგენტო

შესრულების მაჩვენებელი: სისტემის პოპულარიზაცია და გაყიდვების არეალის გაფართოება

პერიოდი: აპრილი – დეკემბერი

პროგრესი: საქართველოში დანერგილ www.eauction.ge-ის სისტემასთან დაკავშირებით, 2011 წლის მარტში სახელმწიფო ქონების განმკარგავი სტრუქტურების წარმომადგენლებთან სარეკლამო/გაცნობითი ტიპის შეხვედრები გაიმართა სომხეთში და აზერბაიჯანში, ასევე უკრაინაში. 2011 წლის 20 მარტს მომსახურების სააგენტომ მონაწილეობა მიიღო ბიზნეს ფორუმში, სადაც სომხეთის ბიზნეს წრეების წარმომადგენლებს გააცნეს www.eauction.ge პორტალი. მიმდინარეობს მოლაპარაკებები უკრაინის, სომხეთის და აზერბაიჯანის ქვეყნების სტრუქტურებთან, რათა www.eauction.ge განთავსდეს აღნიშნული ქვეყნების ოფიციალურ ვებ-გვერდებზე, რაც ხელს შეუწყობს საერთაშორისო გაყიდვებს და ინვესტორების მოზიდვას

შენიშვნა: მიმდინარეობს. გრძელდება თანამშრომლობა სამხრეთ კავკასიის ქვეყნებთან ელექტრონული აუქციონის სისტემის დანერგვის კუთხით

1.13 E-commerce პორტალის შექმნა

პასუხისმგებელი სტრუქტურა: სსიპ მომსახურების სააგენტო

შესრულების მაჩვენებელი: საქართველოს მასშტაბით ელექტრონული კომერციის (ელექტრონული ბაზრის) შექმნა

პერიოდი: აპრილი – დეკემბერი

პროგრესი: მიმდინარეობს e-commerce-ის სისტემის კონცეფციაზე მუშაობა, რაც საქართველოში წარმოადგენს ინოვაციას. აღნიშნული პროექტის დანერგვა ითვალისწინებს პროდუქციის მწარმოებლის/მიმწოდებლის და სხვადასხვა პროდუქციის შემენის მსურველის ერთმანეთთან ელექტრონულად დაკავშირებას. მსგავსი პროექტი ძალიან პოპულარულია დასავლეთში. პროექტის ამოქმედებით მოხდება e-commerce-ის პოპულარიზაცია და მცირე და საშუალო ბიზნესის სტიმულირება. აღნიშნული პროექტი შექმნის სანდო და სტაბილურ მონაცემთა ბაზას მყიდველებისთვის და გამყიდველებისთვის

შენიშვნა: ამ ეტაპზე შეჩერებულია

2. გადამხდელთა მომსახურების გამარტივება

2.1 ეკონომიკური საზღვრის გადაკვეთის სფეროში რისკების შეფასებაზე დაფუძნებული კონტროლის სისტემის დახვეწა

პასუხისმგებელი სტრუქტურა: სსიპ შემოსავლების სამსახური

შესრულების მაჩვენებელი: მაღალი რისკის მქონე პირების ოპერატიული გამოვლენა და საგადასახადო დანაშაულის აღკვეთა

პერიოდი: იანვარი – დეკემბერი

პროგრესი: შემუშავდა რისკების შეფასებაზე დაფუძნებული კონტროლის სისტემა; კონტროლის სისტემის ფარგლებში განსაზღვრული რისკ პროფილები გაერთიანებულია შინაგან საქმეთა სამინისტროს საზღვრის

კონტროლის პროგრამა „პირსი“-ში. რისკ პროფილები შეეხება სხვადასხვა პარამეტრებს და განკუთვნილია, როგორც ეკონომიკური საზღვრისმკვეთი ფიზიკური პირების, ისე სატრანსპორტო საშუალებების კონტროლისათვის. ამასთან, მიმდინარეობს ახალი პროფილების შემუშავება და ტესტირება.

შენიშვნა: მიმდინარეობს (რისკ პროფილების დამუშავების და ტესტირების პროცესი გაგრძელდება 2012 წელსაც)

2.2 მოსაზღვრე ქვეყნებთან ინტეგრირებული მართვის ხელშეკრულებების გაფორმება

პასუხისმგებელი სტრუქტურა: სსიპ შემოსავლების სამსახური

შესრულების მაჩვენებელი: მგზავრთათვის სატრანსპორტო საშუალებებისა და საქონლის გაფორმების გამარტივებული პროცედურები

პერიოდი: იანვარი – დეკემბერი

პროგრესი: საზღვრის ინტეგრირებული მართვის პროგრამის ფარგლებში უკრაინასთან გაფორმდა პროტოკოლი და შეთანხმდა ტექნიკური პირობები „საქართველოსა და უკრაინის საზღვრების გადამკვეთი საქონლისა და სატრანსპორტო საშუალებების შესახებ ინფორმაციის წინასწარ გაცვლასთან დაკავშირებით“; თურქეთთან საზღვრის ინტეგრირებული მართვის პროგრამის ფარგლებში გაფორმდა ხელშეკრულებები: „პორტალებით – სარფი, კარწახი და ახალციხე ერთობლივი სარგებლობის შესახებ“, “უპასპორტო მიმოსვლის შესახებ (პირადობის მოწმობით მხოლოდ)“, “თანამშრომლობის და პორტალებში – სარფი, კარწახი და ახალციხე მგზავრთა, სატრანსპორტო საშუალებათა და საქონლის გადაადგილების პროცედურების რეგულირების შესახებ“; მიმდინარეობს აქტიური მოლაპარაკებები სომხეთის რესპუბლიკასთან მგზავრთა, სატრანსპორტო საშუალებათა და საქონლის გადაადგილების პროცედურების რეგულირების შესახებ ხელშეკრულების გაფორმების თაობაზე და უახლოეს მომავალში არის ნავარაუდები ხელშეკრულების პროექტზე მუშაობის დაწყება. იგეგმება მოლაპარაკებების დაწყება მოლდოვასთან საზღვრების გადამკვეთისაქონლისა და სატრანსპორტო საშუალებების შესახებ ინფორმაციის წინასწარ გაცვლასთან დაკავშირებით

შენიშვნა: დასრულებულია პირველი ეტაპი. ღონისძიების მეორე ეტაპი დაიწყება 2012 წელს

2.3 გაფორმების ეკონომიკურ ზონაში ერთი სარკმლის პრინციპით მომსახურების დანერგვა

პასუხისმგებელი სტრუქტურა: სსიპ შემოსავლების სამსახური

შესრულების მაჩვენებელი: გაფორმების ზონის ტერიტორიიდან გაუსვლელად ტვირთის გაფორმება

პერიოდი: იანვარი – დეკემბერი

პროგრესი: ერთი სარკმლის პრინციპით მომსახურება უკვე დანერგილია გაფორმების ეკონომიკურ ზონაში. ამ ეტაპზე იმპორტიორს უკვე შეუძლია განახორციელოს ტვირთის ელექტრონული დეკლარირება ეკონომიკურ ზონაში გამოცხადების გარეშე.

შენიშვნა: დასრულებულია (ვადაზე ადრე)

2.4 Tax Free (არარეზიდენტის მიერ შეძენილ საქონელზე გადახდილი დღგ-ის უკან დაბრუნება) დანერგვა საქართველოში

პასუხისმგებელი სტრუქტურა: სსიპ შემოსავლების სამსახური; სსიპ მომსახურების სააგენტო

შესრულების მაჩვენებელი: ცვლილებები საკანონმდებლო ბაზაში

პერიოდი: მარტი – დეკემბერი

პროგრესი: გარდა ბათუმის და თბილისის აეროპორტების, ბათუმის პორტის, პორტალების – სარფი, წითელი ხიდი დასადახლო, დღგ-ის დაბრუნება ასევე შესაძლებელია პორტალებში – ვალე და ყაზბეგი. შემოსავლების სამსახურმა საქონლის შესაფუთად მიმოქცევაში გაუშვა ახალი ტიპის წებოვანი სტიკერი, რომლის მეორადად გამოყენება შეუძლებელია. დარღვევების შემთხვევაში მაღაზია იღებს გაფრთხილებას, ხოლო ყოველ მომდევნო დარღვევაზე ჯარიმდება 100 ლარის ოდენობით

შენიშვნა: დასრულებულია

3. სანიტარია და ფიტოსანიტარია

3.1 შემოსავლების სამსახურის მიერ ვეტერინარული, ჰიგიენური და ფიტოსანიტარული საერთაშორისო სერტიფიკატების გაცემა

პასუხისმგებელი სტრუქტურა: სსიპ შემოსავლების სამსახური

შესრულების მაჩვენებელი: გაცემული სერტიფიკატები

პერიოდი: იანვარი – დეკემბერი

პროგრესი: საქართველოს მთავრობის შესაბამის დადგენილებებში (№427 31.12.2010; №430 31.12.2010; № 111 30.05.2007) შეტანილი ცვლილებების საფუძველზე საქართველოს შემოსავლების სამსახურს მიენიჭა ვეტერინარული, ჰიგიენური და ფიტოსანიტარული საერთაშორისო სერტიფიკატების გაცემის უფლებამოსილება. ამასთან, სერტიფიკატების გაცემის უფლებამოსილ პირებს ჩაუტარდათ ტრენინგები, დაიბეჭდა სერტიფიკატების ფორმები და დაიგზავნა პორტალებში შემდგომი გაცემის მიზნით. ამასთან აღსანიშნავია, რომ საქართველოს მთავრობის “საჯარო სამართლის იურიდიული პირი – შემოსავლების სამსახურისა და საჯარო სამართლის იურიდიული პირი – სურსათის უვნებლობის სააგენტოს მიერ ნებართვების გაცემის წესის, პირობებისა და სანებართვო მოწმობის ფორმების დამტკიცების შესახებ” 2010 წლის 31 დეკემბრის №426 დადგენილების თანახმად, საქართველოს შემოსავლების სამსახურს მიენიჭა საქართველოს ტერიტორიაზე ვეტერინარულ კონტროლს დაქვემდებარებული პროდუქციის იმპორტისა და ტრანზიტის და ფიტოსანიტარულ კონტროლს დაქვემდებარებული მცენარეული წარმოშობის პროდუქციის იმპორტის ნებართვის გაცემის უფლებამოსილება. დღეის მდგომარეობით გაცემულია 130-მდე ნებართვა. ნებართვების გაცემა ხდება, როგორც პორტალებზე, ისე ელექტრონულად.

შენიშვნა: დასრულებულია (ვადაზე ადრე)

3.2 2011 წლის მონიტორინგის გეგმის შემუშავება

პასუხისმგებელი სტრუქტურა: სსიპ შემოსავლების სამსახური

შესრულების მაჩვენებელი: შემცირებული სიხშირით ფიზიკური შემოწმების და ლაბორატორიული ანალიზისათვის ნიმუშების აღება

პერიოდი: იანვარი – დეკემბერი

პროგრესი: საქართველოს შემოსავლების სამსახურის ხელმძღვანელის შიდა-ადმინისტრაციული აქტების №197 და №198 შესაბამისად დამტკიცდა „ვეტერინარული კონტროლის“ და „ფიტოსანიტარული კონტროლის“ მონიტორინგის გეგმები. დამტკიცებული გეგმების საფუძველზე, რისკზე დაფუძნებული სიხშირით, ხორციელდება სახელმწიფო ვეტერინარულ და ფიტოსანიტარულ სასაზღვრო-საკარანტინო კონტროლს დაქვემდებარებული საქონლის ფიზიკური შემოწმება და ნიმუშის აღება ლაბორატორიული შემოწმებისათვის.

შენიშვნა: დასრულებულია (ვადაზე ადრე)

3.3 სასწავლო გეგმის დამტკიცება

პასუხისმგებელი სტრუქტურა: სსიპ შემოსავლების სამსახური

შესრულების მაჩვენებელი: სასაზღვრო-საკარანტინო კონტროლის განხორციელების მიზნით ვეტერინარებისა და ფიტოსანიტარების მომზადება

პერიოდი: იანვარი – დეკემბერი

პროგრესი: სსიპ – სურსათის ეროვნული სააგენტოს უფროსის და სსიპ – შემოსავლების სამსახურის უფროსის ერთობლივი ბრძანებით დამტკიცდა „სურსათის ეროვნული სააგენტოს და შემოსავლების სამსახურის უფლებამოსილი პირების (ვეტერინარი/ფიტოსანიტარი) სწავლების 2011 წლის გეგმა“, რომლის მიხედვით აგვისტოში წარმატებით დასრულდა სწავლების მეორე ეტაპი

შენიშვნა: დასრულებულია

3.4 სასაზღვრო ინსპექციების სასაზღვრო-საკარანტინო კონტროლის არსებული პროცედურების გაუმჯობესება

პასუხისმგებელი სტრუქტურა: სსიპ შემოსავლების სამსახური

შესრულების მაჩვენებელი: გაუმჯობესებული პროცედურები

პერიოდი: იანვარი – დეკემბერი

პროგრესი: საქართველოს მთავრობის 2010 წლის 31 დეკემბრის №429 დადგენილება, რომელიც არეგულირებს ფიტოსანიტარული სასაზღვრო-საკარანტინო და ვეტერინარული სასაზღვრო-საკარანტინო კონტროლის განხორციელების წესს, შესაბამისობაში იქნა მოყვანილი ევროკავშირის რეგულაციებთან, რაც განაპირობებს ევრო-სტანდარტებთან მიახლოებული ფიტოსანიტარული და ვეტერინარული სასაზღვრო-საკარანტინო კონტროლის პროცედურების ჩატარებას. აგრეთვე მოხდა ფიტოსანიტარული და ვეტერინარული სასაზღვრო-საკარანტინო კონტროლის პროცედურების გადატანა სასაზღვრო-ინსპექციის პუნქტებზე (დოკუმენტური შემოწმება, იდენტიფიკაციის შემოწმება, ფიზიკური შემოწმება, ნიმუშების აღება), რაც ერთის მხრივ ამცირებს ქვეყნის შიგნით სიცოცხლისა და ჯანმრთელობისთვის საშიში საქონლის გავრცელებას და მეორეს მხრივ პასუხობს ერთი სარკმლის პრინციპს.

შენიშვნა: დასრულებულია

4. საკანონმდებლო ბაზის გაუმჯობესება

4.1 კანონმდებლობის შემდგომი სრულყოფის მიზნით საგადასახადო კოდექსში და კანონქვემდებარე აქტებში ცვლილებების პროექტის მომზადება

პასუხისმგებელი სტრუქტურა: საგადასახადო პოლიტიკის დეპარტამენტი

შესრულების მაჩვენებელი: საგადასახადო კოდექსის სრულყოფა

პერიოდი: იანვარი – დეკემბერი

პროგრესი: 2011 წლის 1 იანვრიდან საგადასახადო კოდექსში განხორციელებული ცვლილებების შედეგად ქირავნობის, ქვექირავნობის, იჯარის, ქვეიჯარის, თხოვებისა და ლიზინგის გარიგებების შედეგად გადახდილი თანხის სახით გაწეული ხარჯის ერთობლივი შემოსავლიდან გამოქვითვის შესაძლებლობა შეიზღუდება, თუ საგანი არ არის მის მესაკუთრეზე საკუთრების უფლებით რეგისტრირებული; საიჯარო მომსახურების თანხის წყაროსთან დაბეგვისგან თავისუფლდება დღგ-ის გადამხდელად რეგისტრირებული ფიზიკური პირების მიერ გაწეული მომსახურება; საგადასახადო ადმინისტრირება განხორციელდება კერძო სამართლის იურიდიული პირების - აუდიტორული კომპანიების საშუალებით, აუდიტორულ კომპანიასა და საგადასახადო ორგანოს შორის დადებული ხელშეკრულების საფუძველზე; მარტივდება ზედმეტად გადახდილი თანხის მომავალი საგადასახადო ვალდებულებების ანგარიშში ჩათვლის პროცედურა, კერძოდ: ჩათვლა განხორციელდება ავტომატურად და გადამხდელის მხრიდან განცხადებით მიმართვა აღარ იქნება საჭირო; საქონლის შემოწმების დაწყებამდე, თუ დეკლარანტი თავისი ინიციატივით გაზრდის დეკლარირებული საქონლის სახეობათა რაოდენობას რეგისტრირებულ სასაქონლო დეკლარაციაში, ამ შემთხვევაში ჯარიმა აღარ დაეკისრება; 1000 ლარამდე დანაკლისის ან აღურიცხველი საქონლის გამოვლენისას, შესაძლებელია ჯარიმის ნაცვლად შეეფარდოს გაფრთხილება ან საგადასახადო კანონმდებლობის სწავლება; დღგ-ის, აქციზისა და იმპორტის გადასახადებისგან გათავისუფლდება საერთაშორისო საავიაციო და საერთაშორისო საზღვაო რეისების განსახორციელებლად ბორტზე ყველა სახის საქონელის იმპორტი/მიწოდება; აქციზის დასაბეგრობის აღარ წარმოადგენს შავი და ფერადი ლითონების ჯართის ექსპორტი.

შენიშვნა: დასრულებულია

4.2 ლიზინგის მარეგულირებელი კანონმდებლობის შემუშავება

პასუხისმგებელი სტრუქტურა: საგადასახადო პოლიტიკის დეპარტამენტი

შესრულების მაჩვენებელი: სალიზინგო სფეროსთვის გამარტივებული და მკაფიო საკანონმდებლო ბაზა

პერიოდი: იანვარი – დეკემბერი

პროგრესი: საგადასახადო კოდექსში ცვლილებები მიზნად ისახავს:

- საგადასახადო კოდექსში ლიზინგთან დაკავშირებული ბუნდოვანების აღმოფხვრა, რაც ხელს შეუწყობს აღნიშნული სფეროს განვითარებას;

- სალიზინგო სფეროში საქმიანობის განმახორციელებელი კომპანიების საგადასახადო ტვირთის შემსუბუქებას;

- სალიზინგო სფეროში საქმიანობის განმახორციელებელი კომპანიების სხვა გადამხდელებთან მიმართებაში თანაბარ მდგომარეობაში ჩაყენებას;
- ქონების გადასახადის გამოანგარიშებასთან დაკავშირებული სირთულეების მოგვარებას მისი გამარტივების გზით

შენიშვნა: დასრულებულია

4.3 ქვეორმატიულ აქტში ცვლილებების მომზადება (მაგ: ტუროპერატორების დაბეგვრა, საერთაშორისო გადაზიდვები, იჯარის დაბეგვრა)

პასუხისმგებელი სტრუქტურა: საგადასახადო პოლიტიკის დეპარტამენტი

შესრულების მაჩვენებელი: ფინანსთა მინისტრის ბრძანება

პერიოდი: მარტი - მაისი

პროგრესი: მომზადდა და გამოიცა ფინანსთა სამინისტროს ბრძანებები:

1. ეკონომიკურ საქმიანობაში გამოყენებულ ძირითად საშუალებაზე (ავტოტრანსპორტი, სპეცტექნიკა და სხვა) გახარჯული საწვავის ერთობლივი შემოსავლიდან გამოქვითვის წესი (ბრძანება №230, 18.04.2011);
2. საქართველოსა და უცხო ქვეყნებს შორის საერთაშორისო გადაზიდვებში სატრანსპორტო მომსახურების დაბეგვრის წესი (ბრძანება №208, 11.04.2011);
3. დამატება შევიდა „გადასახადების ადმინისტრირების შესახებ“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2010 წლის 31 დეკემბრის №996 ბრძანებაში (ბრძანება №203, 08.04.2011, ტუროპერატორების დაბეგვრის გამარტივების მიზნით).
4. მიმდინარეობს მუშაობა იჯარის დაბეგვრის წესთან დაკავშირებით.

შენიშვნა: დასრულებულია

5. ფინანსთა სამინისტროს საქმიანობის ეფექტურობის გაუმჯობესება

5.1 ახალი საგადასახადო კოდექსის ბროშურების გამოცემა (ინგლისური, თურქული, რუსული)

პასუხისმგებელი სტრუქტურა: საგადასახადო პოლიტიკის დეპარტამენტი

შესრულების მაჩვენებელი: ინვესტორების და გადასახადების გადამხდელების ინფორმირებულობის ამაღლება

პერიოდი: იანვარი – თებერვალი

პროგრესი: ახალი საგადასახადო კოდექსი ბროშურის სახით გამოიცა ინგლისურ, თურქულ და რუსულ ენებზე. აღნიშნული აამაღლებს ინვესტორების და გადასახადების გადამხდელების ინფორმირებულობას.

შენიშვნა: დასრულებულია

5.2 ორმაგი დაბეგვრის თავიდან აცილების შეთანხმების დადების მიზნით მოლაპარაკებების გამართვა - პორტუგალია, ნორვეგია, სამხრეთ კორეა, ხორვატია, სირია

პასუხისმგებელი სტრუქტურა: საგადასახადო პოლიტიკის დეპარტამენტი

შესრულების მაჩვენებელი: საინვესტიციო გარემოს ხელშეწყობა და შეთანხმებების მოქმედების გაფართოებული არეალი

პერიოდი: იანვარი – ივნისი

პროგრესი: ორმაგი დაბეგვრის თავიდან აცილების შესახებ შეთანხმება ძალაში შევიდა შემდეგ სახელმწიფოებთან: ესპანეთი, კატარი, არაბთა გაერთიანებული საემიროები, შვეიცარია;

ძალაშია ორმაგი დაბეგვრის თავიდან აცილების შესახებ შეთანხმებაში ცვლილებების შეტანის ოქმი გაერთიანებულ სამეფოსთან და ესტონეთთან; რატიფიცირებული იქნა ორმაგი დაბეგვრის თავიდან აცილების შესახებ შეთანხმება ბრაზილიასთან, ხოლო ხელი მოეწერა შეთანხმებას ინდოეთთან; შეთანხმების დადების მიზნით გაიმართა მოლაპარაკებები და პარაფირებული იქნა პროექტები პორტუგალიასთან, ნორვეგიასთან, უნგრეთთან და ხორვატიასთან. პარაფირებულია ორმაგი დაბეგვრის თავიდან აცილების შესახებ შეთანხმებაში ცვლილებების შეტანის ოქმი ავსტრიასა და გერმანიასთან. შეთანხმების გაფორმების მიზნით გაიმართა მოლაპარაკებების პირველი რაუნდი სამხრეთ კორეასთან და იორდანიასთან.

შენიშვნა: მიმდინარეობს (გადაიდო მოლაპარაკებები სირიასთან)

5.3 ორმაგი დაბეგვრის თავიდან აცილების შესახებ შეთანხმებების ინიცირება (ავსტრალია, ისლანდია, სამხრეთ აფრიკა, სერბეთი, მონტენეგრო, ინდონეზია, ვიეტნამი, მალაიზია, მოლდოვა, კუბა, ეკვატორი, ერაყი)

პასუხისმგებელი სტრუქტურა: საგადასახადო პოლიტიკის დეპარტამენტი

შესრულების მაჩვენებელი: საინვესტიციო გარემოს ხელშეწყობა და ახალ პრიორიტეტულ ქვეყნებთან შეთანხმებების გაფორმება

პერიოდი: იანვარი – დეკემბერი

პროგრესი: ორმაგი დაბეგვრის თავიდან აცილების შესახებ შეთანხმებები ინიცირებულ იქნა შემდეგ ქვეყნებთან: სან მარინო, ალბანეთი, მალაიზია, სამხრეთ კორეა, მოლდოვა, კუბა, ეკვატორი, ინდონეზია, ვიეტნამი, ავსტრალია, მონტენეგრო, ერაყი, ისლანდია, სამხრეთ აფრიკა, სერბეთი და ომანი. ინიცირებულ იქნა ორმაგი დაბეგვრის თავიდან აცილების შესახებ შეთანხმებაში ცვლილებების ოქმი თურქეთთან.

შენიშვნა: დასრულებულია (ვადაზე ადრე)

5.4 საგადასახადო საკითხებში ინფორმაციის გაცვლის შესახებ შეთანხმებების "TIEA" ინიცირება 50 ქვეყანასთან

პასუხისმგებელი სტრუქტურა: საგადასახადო პოლიტიკის დეპარტამენტი

შესრულების მაჩვენებელი: გადასახადებისაგან თავის არიდების მიზნით კანონმდებლობის დარღვევის აღკვეთა

პერიოდი: იანვარი – დეკემბერი

პროგრესი: საგადასახადო საკითხებში ინფორმაციის გაცვლის შესახებ შეთანხმებები ინიცირებულ იქნა 50 ქვეყანასთან. ამასთან, გაიმართა მოლაპარაკებები და პროექტის ტექსტი შეთანხმდა ბრაზილიასთან. შეთანხმების პროექტი პრაფირებულია მექსიკასთან.

შენიშვნა: მიმდინარეობს

5.5 საგადასახადო საკითხებში ადმინისტრაციული ურთიერთდახმარების შესახებ შეთანხმების ინიცირება 26 ქვეყანასთან

პასუხისმგებელი სტრუქტურა: საგადასახადო პოლიტიკის დეპარტამენტი

შესრულების მაჩვენებელი: ხელშემკვრელი სახელმწიფოების საგადასახადო სამართალდარღვევის პრევენცია და ურთიერთდახმარების აღმოჩენა

პერიოდი: იანვარი – დეკემბერი

პროგრესი: საგადასახადო საკითხებში ადმინისტრაციული ურთიერთდახმარების შესახებ შეთანხმებები ინიცირებულია 26 ქვეყანასთან. ამასთან, 2011 წლის 1 ივნისს საქართველოსთვის ძალაში შევიდა საგადასახადო საკითხებში ადმინისტრაციული ურთიერთდახმარების შესახებ კონვენცია.

შენიშვნა: დასრულებულია (ვადაზე ადრე)

5.6 ეკონომიკური საზღვრის გადაკვეთის საკითხებში ადმინისტრაციული ურთიერთდახმარების შესახებ შეთანხმებების ინიცირება 27 ქვეყანასთან

პასუხისმგებელი სტრუქტურა: საგადასახადო პოლიტიკის დეპარტამენტი

შესრულების მაჩვენებელი: ხელშემკვრელი სახელმწიფოების ეკონომიკური საზღვრის კვეთასთან დაკავშირებული დანაშაულებების პრევენცია და ურთიერთდახმარების აღმოჩენა

პერიოდი: იანვარი – დეკემბერი

პროგრესი: ეკონომიკური საზღვრის გადაკვეთის საკითხებში ადმინისტრაციული ურთიერთდახმარების შესახებ შეთანხმებები ინიცირებულია 27 ქვეყანასთან. ამასთან, ეკონომიკური საზღვრის გადაკვეთის საკითხებში ადმინისტრაციული ურთიერთდახმარების შესახებ პროექტის ტექსტი შეთანხმებულია 5 სახელმწიფოსთან: სირია, ეგვიპტე, მექსიკა, არგენტინა, ალბანეთი. მიმდინარეობს მოლაპარაკებები შეთანხმების დადების მიზნით 22 სახელმწიფოსთან.

შენიშვნა: დასრულებულია (ვადაზე ადრე)

5.7 ეკონომიკურ საზღვართან მდებარე კონტროლის ზონის (პორტალი) ერთობლივი გამოყენების შესახებ შეთანხმებების ინიცირება - თურქეთი, უკრაინა, სომხეთი, ბულგარეთი, აზერბაიჯანი, რუმინეთი

პასუხისმგებელი სტრუქტურა: საგადასახადო პოლიტიკის დეპარტამენტი

შესრულების მაჩვენებელი: საქართველოს მოსაზღვრე სახელმწიფოებთან მიმოსვლის გამარტივებული წესები და პროცედურები

პერიოდი: იანვარი – დეკემბერი

პროგრესი: ხელი მოეწერა საქართველოსა და თურქეთს შორის სახმელეთო გამშვები პუნქტების ერთობლივი გამოყენების შესახებ შეთანხმებას. ხელი მოეწერა საქართველოს მთავრობასა და თურქეთის რესპუბლიკის მთავრობას შორის სახმელეთო პორტალებზე მგზავრების, საავტომობილო სატრანსპორტო საშუალებებისა და სამუშაო საათების შეთანხმების და თანამშრომლობის შესახებ ოქმს.

შენიშვნა: მიმდინარეობს

5.8 საგადასახადო სფეროში ინფორმაციის გაცვლის ეფექტურობის გაზრდა (დამატებულია)

პასუხისმგებელი სტრუქტურა: საგადასახადო პოლიტიკის დეპარტამენტი

შესრულების მაჩვენებელი: საგადასახადო სფეროში საერთაშორისო ნორმების დანერგვა

პერიოდი: იანვარი – აპრილი

პროგრესი: 2011 წლის 11 აპრილს საქართველო მიუერთდა საგადასახადო სფეროში ინფორმაციის გაცვლისა და გამჭვირვალობის გლობალურ ფორუმს.

შენიშვნა: დასრულებულია

III - აღრიცხვა და ანგარიშგება

1. სახელმწიფო სექტორში აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების დანერგვა (IPSAS)

1.1 ტრენერთა ტრენინგის ციკლის ჩატარება სახაზინო სამსახურის აღრიცხვის მეთოდოლოგიის და ანალიზის დეპარტამენტის თანამშრომლებისთვის ტექნიკური დახმარების გამოყენებით

პასუხისმგებელი სტრუქტურა: სახაზინო სამსახური

შესრულების მაჩვენებელი: დატრენინგებული დეპარტამენტის თანამშრომლები

პერიოდი: იანვარი – დეკემბერი

პროგრესი: გათვალისწინებულია ტრენინგების ჩატარება კასკადური მიდგომით. თავდაპირველად, დატრენინგდება სახაზინო სამსახურის აღრიცხვის მეთოდოლოგიის და ანალიზის დეპარტამენტის თანამშრომლები, რომლებიც დაატრენინგებენ საბიუჯეტო ორგანიზაციების თანამშრომლებს, რომლებიც, თავის მხრივ, დაატრენინგებენ დაქვემდებარებული დაწესებულებების თანამშრომლებს.

მსოფლიო ბანკის შესყიდვის პროცედურების შესაბამისად, შერჩეულ იქნა ტრენინგის კონსულტანტი. გაფორმდა ტრენერთან ხელშეკრულება ტრენინგების ჩატარებაზე. ტრენინგის კონსულტანტმა შეისწავლა საჯარო სექტორში არსებული მდგომარეობა ბუღალტრების კვალიფიკაციის, გამოცდილების და სხვ. კუთხით და დაიწყო მუშაობა ბუღალტერთა ტრენინგების საჭიროებების და მოთხოვნილებების შესახებ ანგარიშის

მომზადებაზე. ტრენინგის კონსულტანტის მიერ სახაზინო სამსახურის აღრიცხვის მეთოდოლოგიის და ანალიზის დეპარტამენტის თანაშრომლებისთვის ჩატარდა ტრენინგების პირველი ეტაპი, რომელიც ითვალისწინებდა საჯარო სექტორის ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტებში (IPSAS) საბაზისო ცოდნის მიღებას. გათვალისწინებულია ტრენინგების მეორე ეტაპის ჩატარება, რომელიც გულისხმობს IPSAS-ში გადრმავებული ცოდნის მიღებას. ტრენინგების ჩატარების შემდგომ, კონსულტანტი მოამზადებს საბოლოო ანგარიშს იმის შესახებ, თუ როგორი უნდა იყოს საქართველოს საჯარო სექტორში დასაქმებულ ბუღალტერთა სერთიფიცირებისა და გადამზადების სისტემა, არსებული სიტუაციის გათვალისწინებით

შენიშვნა: პირველი ეტაპი დასრულებულია. მეორე ეტაპის განხორციელება დაგეგმილია 2012 წელს

1.2 IPSAS-ის ქართულ ენაზე ოფიციალურად გადათარგმნა

პასუხისმგებელი სტრუქტურა: სახაზინო სამსახური

შესრულების მაჩვენებელი: ქართულ ენაზე გადათარგმნილი IPSAS

პერიოდი: იანვარი – დეკემბერი

პროგრესი: საჯარო სექტორში IPSAS-ის დანერგვის გარდამავალ ეტაპზე გათვალისწინებულია IPSAS-ის ქართულ ენაზე ოფიციალურად გადათარგმნა, რისთვისაც აუცილებელია IFAC-თან (International Federation of Accountants) მემორანდუმის გაფორმება IPSAS-ის თარგმნასა და გამოცემასთან დაკავშირებით.

ამ მიზნით, დაიწყო მოლაპარაკებები ევროკავშირთან, თარგმნის პროექტის დაფინანსების საკითხზე. მიმდინარეობს ტექნიკური დავალების შეთანხმება, რის შემდგომაც გამოცხადდება ტენდერი კონსულტანტის შესარჩევად და გაფორმდება მემორანდუმი IFAC-თან საჯარო სექტორის ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების ოფიციალურ თარგმნასა და გამოცემასთან დაკავშირებით

შენიშვნა: მიმდინარეობს (ლონისძიების შესრულება დაგეგმილია 2012 წელს)

1.3 საჯარო სექტორის ბუღალტრული აღრიცხვის სტანდარტების საბჭოსთვის ვებ-გვერდის შექმნა

პასუხისმგებელი სტრუქტურა: სახაზინო სამსახური

შესრულების მაჩვენებელი: ვებ-გვერდი

პერიოდი: იანვარი – დეკემბერი

პროგრესი: მომზადდა საჯარო სექტორის ბუღალტრული აღრიცხვის სტანდარტების საბჭოს ვებ-გვერდის კონცეფცია, რომელზეც მიმდინარეობს მუშაობა საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საფინანსო-ანალიტიკურ სამსახურთან ერთად

შენიშვნა: ღონისძიება დასრულდება 2012 წელს

1.4 მთლიან სახელმწიფო სექტორში IPSAS-ის მოდიფიცირებული საკასო მეთოდის დანერგვისათვის ინსტრუქციების მომზადება

პასუხისმგებელი სტრუქტურა: სახაზინო სამსახური

შესრულების მაჩვენებელი: ინსტრუქციების პროექტები

პერიოდი: იანვარი – დეკემბერი

პროგრესი: საჯარო სექტორში IPSAS-ის მოდიფიცირებული საკასო მეთოდის დანერგვისათვის, მიმდინარეობს დღეს მოქმედი ბუღალტრული აღრიცხვის ინსტრუქციის და ანგარიშგების ფორმების დახვეწა და სრულყოფა. ამ მიზნით, მომზადდა საქართველოს ფინანსთა მინისტრის ბრძანების პროექტი ბუღალტრული აღრიცხვის ინსტრუქციაში შესატან ცვლილებებზე და წარედგინა სამინისტროს განსახილველად. ასევე, მიმდინარეობს IPSAS-ის მოდიფიცირებული საკასო მეთოდის შესაბამისად ფინანსური ანგარიშგების ფორმების ჩამოყალიბებაზე მუშაობა.

შენიშვნა: დასრულდა ნაწილობრივ. მუშაობა დასრულდება 2012 წელს

1.5 საპილოტე ორგანიზაციებისთვის სამუშაო შეხვედრების მოწყობა მოდიფიცირებული საკასო მეთოდის შესაბამისად შემუშავებულ ბუღალტრული აღრიცხვის მეთოდოლოგიაში

პასუხისმგებელი სტრუქტურა: სახაზინო სამსახური

შესრულების მაჩვენებელი: ჩატარებული სამუშაო შეხვედრები

პერიოდი: იანვარი – აპრილი

პროგრესი: მოდიფიცირებული საკასო მეთოდის დანერგვისათვის, შემუშავებულ იქნა ბუღალტრული აღრიცხვის და ანგარიშგების პროექტები. აღნიშნული პროექტები განხილულ იქნა უცხოელი ექსპერტებისა და საქართველოს საჯარო სექტორის ბუღალტრული აღრიცხვის სტანდარტების საბჭოს წევრების მიერ. შემოსული წინადადებების და შენიშვნების გათვალისწინებით, მოხდა აღნიშნული პროექტების დახვეწა და სრულყოფა.

აღნიშნულ პროექტებთან დაკავშირებით, მოეწყო სამუშაო შეხვედრები საპილოტე ორგანიზაციების წარმომადგენლებთან მოდიფიცირებული საკასო მეთოდის საფუძველზე მომზადებული ანგარიშგების ახალი ფორმების შესავსებად. სამუშაო შეხვედრების დროს წარმოქმნილი საკითხების გათვალისწინებით იგეგმება აღნიშნული ფორმების დახვეწა და საბოლოო სახით ჩამოყალიბება

შენიშვნა: დასრულებულია

1.6 საპილოტე ორგანიზაციების მიერ 2010 წლის პილოტური წლიური ფინანსური ანგარიშგებების, ასევე, ნაერთი პილოტური ფინანსური ანგარიშგების მომზადება

პასუხისმგებელი სტრუქტურა: სახაზინო სამსახური

შესრულების მაჩვენებელი: მოდიფიცირებული საკასო მეთოდის საფუძველზე მომზადებული პილოტური ფინანსური ანგარიშგებები

პერიოდი: აპრილი – მაისი

პროგრესი: აღრიცხვის რეფორმის გარდამავალ ეტაპზე, მოდიფიცირებული საკასო მეთოდის დანერგვის მიზნით, საპილოტე ორგანიზაციების მიერ მოზადდა 2010 წლის ფინანსური ანგარიშგება. განხორციელდა ამ

მონაცემების კონსოლიდირება 2010 წლის ნაერთი ფინანსური ანგარიშგების მომზადების გზით. კონსოლიდაციის შედეგად გამოვლენილი ხარვეზების გამოსწორების მიზნით,

საპილოტე ორგანიზაციებისთვის ქობულეთში მოეწყო სემინარი თემაზე: „საჯარო სექტორის ბუღალტრული აღრიცხვის რეფორმის მიმართულებები“, სადაც რეფორმის შესახებ სხვა ზოგად საკითხებთან ერთად, განხილულ იქნა მოდიფიცირებული საკასო მეთოდის შესაბამისი ანგარიშგების ფორმები და მეთოდოლოგია, ასევე, საპილოტე ორგანიზაციების დავალების დროს წარმოქმნილი ხარვეზები და უზუსტობები და შემუშავდა რეკომენდაციები მათ აღმოსაფხვრელად.

შენიშვნა: დასრულებულია

1.7 საბიუჯეტო ორგანიზაციების თანამშრომლებისათვის ტრენინგების ჩატარება IPSAS-ის მოდიფიცირებული საკასო მეთოდის შესაბამისად მომზადებულ ბუღალტრული აღრიცხვის მეთოდოლოგიაში

პასუხისმგებელი სტრუქტურა: სახაზინო სამსახური

შესრულების მაჩვენებელი: საბიუჯეტო ორგანიზაციების დატრენინგებული თანამშრომლები

პერიოდი: ივნისი – დეკემბერი

პროგრესი: არ დაწყებულა

შენიშვნა: ტრენინგები სავარაუდოდ დაიწყება 2012 წელს, IPSAS-ის მოდიფიცირებული საკასო მეთოდის შესაბამისად მომზადებული ინსტრუქციისა და ანგარიშგების ფორმების პროექტების ნორმატიული აქტების სახით დამტკიცების შემდგომ

1.8 IPSAS დანერგვისათვის საერთაშორისო კონსულტანტის მოწვევა

პასუხისმგებელი სტრუქტურა: სახაზინო სამსახური

შესრულების მაჩვენებელი: კონსულტანტის მიერ მომზადებული ანგარიშგები

პერიოდი: მარტი – დეკემბერი

პროგრესი: არ დაწყებულა

შენიშვნა: ვინაიდან შესყიდვის პროცედურები მოითხოვს დიდ დროს, შესაბამისად, ღონისძიების განხორციელება დაიგეგმა 2012 წლისათვის

1.9 ძირითადი აქტივების ცვეთის ნორმების განსაზღვრის მეთოდოლოგიის შემუშავება ტექნიკური დახმარების გამოყენებით

პასუხისმგებელი სტრუქტურა: სახაზინო სამსახური

შესრულების მაჩვენებელი: კონსულტანტის მიერ მომზადებული ანგარიში

პერიოდი: იანვარი – დეკემბერი

პროგრესი: საჯარო სექტორში დღეს არსებული მეთოდოლოგია საკმაოდ მოძველებულია და ვერ პასუხობს თანამედროვე სტანდარტებს. სწორედ ამიტომ, იგეგმება ცვეთის არსებული მიდგომის შეცვლა საერთაშორისო პრაქტიკის შესაბამისად. ამ მიზნით, მსოფლიო ბანკის შესყიდვების პროცედურების შესაბამისად, მომზადდა ტექნიკური დავალება ცვეთის მეთოდოლოგიის შესამუშავებლად და გამოცხადდა ტენდერი უცხოელი კონსულტანტის შესარჩევად

შენიშვნა: ღონისძიება დასრულდება 2012 წელს

2. ინტეგრირებული სახელმწიფო ფინანსური საინფორმაციო სისტემის (PFMS) დანერგვა

2.1 სახელმწიფო ფინანსების მართვის სისტემის (PFMS) მოდულების შემუშავება/დანერგვა/ინტეგრაცია

პასუხისმგებელი სტრუქტურა: სახაზინო სამსახური

შესრულების მაჩვენებელი: შემუშავებული/დანერგილი/ინტეგრირებული მოდულები

პერიოდი: იანვარი – დეკემბერი

პროგრესი: ფინანსთა სამინისტროს საფინანსო-ანალიტიკური სამსახურის მიერ, დაიწყო სახელმწიფო ფინანსების მართვის ინტეგრირებული სისტემის (PFMS) დანერგვაზე მუშაობა, ადგილობრივი ძალებით, რისთვისაც შეიქმნა სამუშაო ჯგუფები საბიუჯეტო და სახაზინო მიმართულებით. მომზადდა „ხაზინის მთავარი წიგნის“ კონცეფცია, რომელიც გულისხმობს თითოეული საბიუჯეტო ორგანიზაციის მთავარი წიგნების კონსოლიდირებას და სახელმწიფო ბიუჯეტის აღსრულებისა და საბიუჯეტო ორგანიზაციების ბუღალტრული აღრიცხვა-ანგარიშების პროცესების ინტეგრირებას ერთიან სისტემაში

შენიშვნა: მიმდინარეობს სახელმწიფო ფინანსების ინტეგრირებული საინფორმაციო სისტემის დანერგვა და ხაზინის მთავარი წიგნის შექმნა დაგეგმილია 2012 წელს

IV - შიდა აუდიტი

1. შიდა აუდიტის პროცედურების სრულყოფა

1.1 შიდა აუდიტის სუბიექტების დებულებაში ცვლილების შეტანა შიდა აუდიტის საკითხების განმხილველი საბჭოს შექმნის შედეგად

პასუხისმგებელი სტრუქტურა: შიდა აუდიტთან დაკავშირებული საკითხების განმხილველი საბჭო

შესრულების მაჩვენებელი: შიდა აუდიტის სუბიექტების დებულებები

პერიოდი: თებერვალი – აპრილი

პროგრესი: შიდა აუდიტის სუბიექტების მიერ დებულებებში შეტანილ იქნა ცვლილებები (სახელმწიფო შიდა აუდიტისა და ინსპექტირების შესახებ კანონით „სსიპ სახელმწიფო შიდა ფინანსური კონტროლის ეროვნული

ცენტრის“ გაუქმებისა და მის ნაცვლად „შიდა აუდიტთან დაკავშირებული საკითხების განმხილველი საბჭოს“ შექმნის შესაბამისად).

შენიშვნა: დასრულებულია

1.2 რისკის მართვის სახელმძღვანელოს დახვეწა და დამტკიცება

პასუხისმგებელი სტრუქტურა: იურიდიული დეპარტამენტი; შიდა აუდიტთან დაკავშირებული საკითხების განმხილველი საბჭო

შესრულების მაჩვენებელი: შესაბამისი სამართლებრივი აქტი

პერიოდი: იანვარი – დეკემბერი

პროგრესი: შიდა აუდიტთან დაკავშირებული საკითხების განმხილველი საბჭოს სამდივნოს მიერ შემუშავდა რისკის მართვის სახელმძღვანელო, რომელიც წარედგინათ საბჭოს წევრებს საბჭოს რიგით მეოთხე სხდომაზე. წევრების მიერ მოწონებულ იქნა "სახელმწიფო სექტორში რისკის მართვის სახელმძღვანელოს" პროექტი, შედეგად 2011 წლის 30 დეკემბერს მოხდა მისი დამტკიცება. რისკის მართვის სახელმძღვანელო წარმოადგენს სახელმწიფო სექტორში რისკის მართვის მეთოდოლოგიურ სახელმძღვანელოს, რომელიც მოიცავს რისკის მართვის სისტემის კონცეფციას, ძირითად პრინციპებსა და ელემენტებს. აღნიშნული ხელს შეუწყობს დაწესებულებებს საკუთარი რისკის მართვის სისტემის ჩამოყალიბებაში და შიდა აუდიტის სუბიექტებს თავიანთი საქმიანობის ფარგლებში რისკის შეფასების განხორციელებაში

შენიშვნა: დასრულებულია

1.3 შიდა აუდიტის წლიური ანგარიშის ერთიანი ფორმის შემუშავება და დამტკიცება

პასუხისმგებელი სტრუქტურა: შიდა აუდიტთან დაკავშირებული საკითხების განმხილველი საბჭო

შესრულების მაჩვენებელი: შესაბამისი სამართლებრივი აქტი

პერიოდი: იანვარი – დეკემბერი

პროგრესი: წლის განმავლობაში შემუშავდა შიდა აუდიტის წლიური ანგარიშის ფორმა "სახელმწიფო შიდა აუდიტისა და ინსპექტირების" შესახებ საქართველოს კანონის შესაბამისად, რომელიც გადაგზავნილ იქნა კონტროლის პალატაში რეკომენდაციებისა და მოსაზრებების მიღების მიზნით. განხორციელდა წლიური ანგარიშის ერთიანი ფორმის სამუშაო ვერსიის შემუშავება. თუმცა აღსანიშნავია, რომ 2011 წლის მეორე ნახევარში დაიწყო ინტენსიური მუშაობა არსებული კანონის გაუმჯობესებაზე და დეკემბერში "სახელმწიფო შიდა აუდიტისა და ინსპექტირების" შესახებ საქართველოს კანონში შევიდა ცვლილება, განხორციელდა კანონის შინაარსობრივი გაუმჯობესება და მისი საერთაშორისო სტანდარტებთან ჰარმონიზაცია, შედეგად მოხდა მისი სახელწოდების ცვლილებაც, კერძოდ საქართველოს კანონი "სახელმწიფო შიდა ფინანსური კონტროლის" შესახებ. შესაბამისად შეფერხდა ერთიანი წლიური ანგარიშის ფორმის დამტკიცება 2011 წლისათვის, ვინაიდან იგი მოითხოვს განახლებულ კანონთან სრულყოფაში ყოფნას. აღნიშნული საკითხი განხილულ იქნა შიდა აუდიტთან დაკავშირებული საკითხების განმხილველი საბჭოს სხდომაზე და განაწყდა შიდა აუდიტის წლიური ანგარიშის და გეგმის ფორმის მომდევნო წელს შემუშავება და დამტკიცება

შენიშვნა: ღონისძიება დასრულდება 2012 წელს

1.4 "სახელმწიფო შიდა აუდიტისა და ინსპექტირების" შესახებ საქართველოს კანონის სრულყოფა

პასუხისმგებელი სტრუქტურა: შიდა აუდიტთან დაკავშირებული საკითხების განმხილველი საბჭო

შესრულების მაჩვენებელი: პარლამენტის მიერ დამტკიცებული საქართველოს კანონი "სახელმწიფო შიდა ფინანსური კონტროლის" შესახებ

პერიოდი: ივლისი – დეკემბერი

პროგრესი: შესრულებულია. 2011 წლის მეორე ნახევარში აქტიურად დაიწყო მუშაობა "სახელმწიფო შიდა აუდიტისა და ინსპექტირების" შესახებ საქართველოს კანონში ცვლილების პროექტის მომზადებაზე, რათა მომხდარიყო მისი სრულყოფა და საერთაშორისო სტანდარტებთან შესაბამისობაში მოყვანა. შიდა აუდიტთან დაკავშირებული საკითხების განმხილველი საბჭოს სამდივნომ მოამზადა კანონპროექტი, რომელიც ითვალისწინებდა ევროკავშირის ექსპერტების რეკომენდაციებს, საერთაშორისო პრაქტიკას, კონტროლის პალატისა და საერთაშორისო თანამშრომლობის საზოგადოების GIZ-ის რეკომენდაციებს. ასევე, განხორციელდა აღნიშნული კანონპროექტის საბჭოს სხდომაზე განხილვა, სადაც შიდა აუდიტის სუბიექტების უფროსებს ჰქონდათ შესაძლებლობა მონაწილეობა მიეღოთ კანონპროექტის სრულყოფაში. შედეგად, ცვლილება შევიდა და დამტკიცდა სახელმწიფო კანონი "სახელმწიფო შიდა ფინანსური კონტროლის" შესახებ 2011 წლის დეკემბერს. ასევე, აღსანიშნავია, რომ კანონიდან ამოღებულ იქნა ინსპექტირება, რაც კიდევ ერთხელ ადასტურებს კანონის საერთაშორისო სტანდარტებთან შესაბამისობას.

შენიშვნა: დასრულებულია

1.5 არსებული მეთოდოლოგიური დოკუმენტების: შიდა აუდიტორთა ეთიკის კოდექსისა და შიდა აუდიტის სტანდარტების განახლება და დამტკიცება

პასუხისმგებელი სტრუქტურა: შიდა აუდიტთან დაკავშირებული საკითხების განმხილველი საბჭო

შესრულების მაჩვენებელი: საქართველოს მთავრობის განკარგულება

პერიოდი: აგვისტო-სექტემბერი

პროგრესი: შიდა აუდიტთან დაკავშირებული საკითხების განმხილველი საბჭოს სამდივნომ 2011წლის ივლისში დაიწყო მუშაობა არსებული მეთოდოლოგიური დოკუმენტების განახლებაზე მუშაობა. კერძოდ, განხორციელდა შიდა აუდიტორთა ეთიკის კოდექსისა და შიდა აუდიტის სტანდარტების ცვლილებების პროექტზე მუშაობა და მათი შიდა აუდიტორთა ინსტიტუტის IIA-ს საერთაშორისო სტანდარტებთან ჰარმონიზება. აღნიშნული დოკუმენტები დაეგზავნათ საბჭოს წევრებს და 2011 წლის 12 სექტემბერს, საბჭოს რიგით მე-3 სხდომაზე განხორციელდა მათი განხილვა. გათვალისწინებულ იქნა შენიშვნები და საბოლოო სახით დამტკიცდა 2011 წლის 14 სექტემბერს საქართველოს მთავრობის №1847 და №1836 განკარგულებით

შენიშვნა: დასრულებულია

V - საინფორმაციო ტექნოლოგიები

1. საინფორმაციო ტექნოლოგიების გაუმჯობესება და განვითარება

1.1 ადამიანური რესურსების მართვის სისტემის დანერგვა

პასუხისმგებელი სტრუქტურა: სსიპ საფინანსო-ანალიტიკური სამსახური

შესრულების მაჩვენებელი: კადრების სამსახურის მუშაობა ადამიანური რესურსების მართვის სისტემაში

პერიოდი: იანვარი – დეკემბერი

პროგრესი: ადამიანური რესურსების ეფექტურად მართვის მიზნით მიმდინარეობს ავტომატიზებული სისტემის შემუშავება, რომლის მიზანია პერსონალის მართვის პროცესის გამარტივება, დაჩქარება და ხარისხის გაუმჯობესება პერსონალის მართვასთან დაკავშირებული აქტივობების და ამოცანების ავტომატიზაციის გზით. შემუშავდა აღნიშნული სისტემის ფუნქციონალური სტანდარტი და სრულდება სისტემის ტექნიკური რეალიზაცია

შენიშვნა: მიმდინარეობს (ლონისძიება გრძელდება 2012 წელსაც)

1.2 საინფორმაციო ტექნოლოგიების განვითარების სამწლიანი სტრატეგიის დანერგვა

პასუხისმგებელი სტრუქტურა: სსიპ საფინანსო-ანალიტიკური სამსახური

შესრულების მაჩვენებელი: სტრატეგიის დოკუმენტის სრულყოფა და ეტაპობრივი დანერგვა

პერიოდი: იანვარი – დეკემბერი

პროგრესი: შემუშავდა საინფორმაციო ტექნოლოგიების განვითარების სამწლიანი სტრატეგიის სამოქმედო გეგმის პროექტი. აღნიშნული დოკუმენტის განხილვა უნდა მოხდეს ფინანსთა სამინისტროს სათათბირო საბჭოს მიერ

შენიშვნა: მიმდინარეობს (ლონისძიება გრძელდება 2012 წელსაც)

1.3 მონაცემთა უსაფრთხოების და სისტემების მდგრადობის უზრუნველყოფა

პასუხისმგებელი სტრუქტურა: სსიპ საფინანსო-ანალიტიკური სამსახური

შესრულების მაჩვენებელი: ბიზნეს პროცესების უწყვეტობის ცენტრი

პერიოდი: იანვარი – დეკემბერი

პროგრესი: მონაცემთა უსაფრთხოებისა და სისტემების მდგრადობის უზრუნველყოფისათვის საჭირო ბიზნეს-პროცესების უწყვეტობის ცენტრის სამშენებლო სამუშაოები დასრულებულია. ამჟამად მიმდინარეობს ცენტრის აღჭურვა ყველა შესაბამისი ტექნიკური მოწყობილობებით. დასრულდა ტენდერი გამაგრილებელი და კვების სისტემის შესყიდვაზე. ასევე დასრულებულია საპროექტო სამუშაოები ოპტიკურ ბოჭკოვანი კაბელის ჩადებაზე. დასრულდა ტენდერი სხვა საჭირო ტექნიკაზე

შენიშვნა: მიმდინარეობს (ლონისძიება გრძელდება 2012 წელსაც)

1.4 ელექტრონული დოკუმენტბრუნვის ახალი სისტემის შექმნა

პასუხისმგებელი სტრუქტურა: სსიპ საფინანსო-ანალიტიკური სამსახური

შესრულების მაჩვენებელი: ელექტრონული დოკუმენტბრუნვის ახალი სისტემის ტესტირება და დანერგვა

პერიოდი: იანვარი – ოქტომბერი

პროგრესი: ელექტრონული დოკუმენტბრუნვის პროგრამის დანერგვა ფინანსთა სამინისტროს ცენტრალურ აპარატში დაიწყო 2010 წლის დეკემბრიდან. სისტემაში ჩართვება ფინანსთა სამინისტროს ყველა სტრუქტურა და 15-მდე მსხვილი სახელმწიფო ორგანიზაცია

შენიშვნა: მიმდინარეობს (ლონისძიება გრძელდება 2012 წელსაც)

1.5 საინფორმაციო ტექნოლოგიების სტრატეგიის ფარგლებში ინფორმაციული უსაფრთხოების პოლიტიკის ჩამოყალიბება

პასუხისმგებელი სტრუქტურა: სსიპ საფინანსო-ანალიტიკური სამსახური

შესრულების მაჩვენებელი: ინფორმაციული უსაფრთხოების პოლიტიკის პირველადი დოკუმენტის ფინანსთა მინისტრის მიერ დამტკიცება

პერიოდი: იანვარი – აგვისტო

პროგრესი: საინფორმაციო ტექნოლოგიების სტრატეგიის ფარგლებში შემუშავდა ინფორმაციული უსაფრთხოების პოლიტიკის დოკუმენტის პროექტი. აღნიშნული დოკუმენტის განხილვა უნდა მოხდეს ფინანსთა სამინისტროს სათათბირო საბჭოს მიერ და შემდგომ მისი დამტკიცება მინისტრის მიერ

შენიშვნა: მიმდინარეობს (ლონისძიება გრძელდება 2012 წელსაც)

1.6 საგარეო ვალის მართვის ელექტრონული სისტემის (DMFAS) ახალი ვერსიის დანერგვა

პასუხისმგებელი სტრუქტურა: საგარეო ურთიერთობათა დეპარტამენტი; სსიპ საფინანსო-ანალიტიკური სამსახური

შესრულების მაჩვენებელი: DMFAS 6-ის ინსტალაცია და გამოყენება საგარეო ურთიერთობათა დეპარტამენტში

პერიოდი: იანვარი – დეკემბერი

პროგრესი: მიმდინარეობს მუშაობა საგარეო და შიდა ვალის მართვის ელექტრონულ სისტემაზე. დასრულებულია სისტემის ძირითადი ფუნქციონალი, ხოლო შიდა ვალის აღრიცხვის და მომსახურების მოდული გაშვებულია სრულ სამუშაო რეჟიმში. საგარეო ურთიერთობათა დეპარტამენტი ახორციელებს სისტემის ტესტირებას და უწყვეტ რეჟიმში ხდება მათი შენიშვნების გათვალისწინება. მოხდა სისტემის დაკავშირება ელექტრონული ბიუჯეტირების სისტემასთან, რომლის მეშვეობითაც ხორციელდება სისტემიდან ბიუჯეტირებისთვის საჭირო ინფორმაციის გაგზავნა. 2011 წლის აგვისტოში საქართველოს ფინანსთა

სამინისტროსა და UNCTAD-ს შორის გაფორმდა საპროექტო ხელშეკრულება ფინანსთა სამინისტროს სისტემაში ვალის მართვის განახლებული სისტემის (DMFAS 6) დანერგვასთან დაკავშირებით. პროექტის განხორციელება დაიწყო 2011 წლის სექტემბრიდან და მიმდინარეობს მუშაობა სისტემაში საგარეო და შიდა ვალის მონაცემთა ბაზის სრულყოფის მიზნით

შენიშვნა: მიმდინარეობს (ღონისძიება გრძელდება 2012 წელსაც)

1.7 PFM სამოქმედო გეგმის პორტალის შემუშავება

პასუხისმგებელი სტრუქტურა: საგარეო ურთიერთობათა დეპარტამენტი; სსიპ საფინანსო-ანალიტიკური სამსახური

შესრულების მაჩვენებელი: PFM სამოქმედო გეგმის მომზადება და კვარტალური ანგარიშების მომზადება პორტალის მეშვეობით

პერიოდი: იანვარი – თებერვალი

პროგრესი: სახელწიფო სექტორის ფინანსური მართვის (PFM) 2009 – 2013 წლების სტრატეგიული ხედვის დოკუმენტის შესაბამისი წლის სამოქმედო გეგმების შემუშავებისათვის, აგრეთვე ამ გეგმების განხორციელების კვარტალური და წლიური ანგარიშების მომზადების ხელშეწყობის მიზნით ფინანსთა სამინისტროს სისტემაში დაინერგა ელექტრონული პროგრამა. აღნიშნული პროგრამა საგარეო ურთიერთობათა დეპარტამენტის დაკვეთით შეიმუშავა სსიპ საფინანსო-ანალიტიკურმა სამსახურმა. პროგრამის მეშვეობით შემუშავდა PFM-ის 2011 წლის სამოქმედო გეგმის პროექტი, რომელიც განხილულ იქნა PFM-ის რეფორმის საკოორდინაციო საბჭოს 2011 წლის 11 მარტის სხდომაზე. შემდგომ სამოქმედო გეგმა დამტკიცდა ფინანსთა მინისტრის 2011 წლის 1 აპრილის №192 ბრძანებით. PFM-ის წინამდებარე 6 თვის ანგარიში ფინანსთა სამინისტროს შესაბამისი სტრუქტურების მიერ მომზადდა აღნიშნული ელექტრონული პროგრამის გამოყენებით.

შენიშვნა: დასრულებულია

1.8 ხაზინის მოძველებული სისტემის რეფაქტორინგი და მონაცემთა ბაზების კონსოლიდაცია (დამატებულია)

პასუხისმგებელი სტრუქტურა: სახაზინო სამსახური; სსიპ საფინანსო-ანალიტიკური სამსახური

შესრულების მაჩვენებელი: განახლებული ელექტრონული ხაზინის სისტემა

პერიოდი: ივლისი – დეკემბერი

პროგრესი: 1 ოქტომბერს დასრულდა სისტემის მხარჯავის, საოპერაციოს და შემოსავლების ნაწილის სატესტო ვერსია. დასრულდა სისტემის ტესტირები, მოხდა აღმოჩენილი შეცდომების გასწორება. სისტემა მზად არის სრულ სამუშაო რეჟიმში გასაშვებად

შენიშვნა: დასრულებულია